


საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №68 (1698) 1 - 7 დეკემბერი, 1998წ. ● ღირსი 50 თეთრი



ვცხოვრობთ ისე, რისი ღირსიც ვართ...

მე-2 გვერდი

ვიმსახურებთ ჩვენ ამ ხელისუფლებას
და მოგვალეობს დავიმსახურებთ,
თუ ასე ვილუარსებ-ვიღარაჯანეთ...




მე-2 გვერდი

ალექსანდრა აბდალაძე

„მუშაობის წამება“ და სოფელთა მესხიერნი

მე-6 გვერდი


ვინ არის
დაინაშავე,
ანუ აქა
ამბავი
გაყინული ზუთხის
გაცოცხლები...



მე-3 გვერდი

ქართველობა მართო საქართველოში ცხოვრებას არ ნიშნავს...

მე-3 გვერდი




„რანი ვიყავით და რანი ვართ
ქართველები და რა გვმართებს
წინაპრებისა და სემოგლოსი“,
ანუ გამომხმარება ჭაბუა
ამირაჯიბის წერილზე



მე-5
გვერდი

უსსოპრობით ისე, რისი ღირსი პარტი...



ინტერვიუ

იყოს ან არ გამოჩნდეს! ჩვენი თანამდგომი სხვა ვინ არის, გარდა მწერალთა კავშირისა, მთავრობაც გვეხმარება შეძლებისდაგვარად. იციან, ჟურნალის დახურვა დიდ ზიანს მოუტანს მწერლობასა და კულტურას, საერთოდ, სვალნიდელ საქართველოს.

— ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს, მახსოვს, თქვენს საცხოვრებელ ოთახში ეროვნული დროშა გქონდათ გამოფენილი და შეზნაროდით... მას შემდეგ დიდი ქართველები გადავიტანეთ... როცა ქვეყანა მიიმე დაღვინა, თითოეულ ქართველს, ყველა ნორმალურ ადამიანს უჭირს... დღეს რას ფიქრობთ ქართულ პოლიტიკურ სექტორზე?

— ცუდად ნუ გამიგებთ... პოლიტიკა ჩემთვის დღესაც გაუგებარი "ხილია, მით უფრო — ქართული, ჩვენებური... თითქოს ასე არ უნდა ყოფილიყო... მართალია, არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, არც მიფიქრია არასოდეს, მაგრამ 1975 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ვიყავი, შედარებით, რა თქმა უნდა. ბატონებთან: ზვიად გამსახურდიანთან, აკაკი ბაქრაძესთან, ჯუმბერ კობახიძესთან, გიორგი ჭანტურასთან, ირაკლი შენგელაიასთან, სხვებთან ახლოს ვიყავი, ვმეგობრობდი, მივდიოდი, მოვდიოდი, ხელის ბიჭად ყოფნაც მიხაროდა, მაგრამ... პოლიტიკოსად უნდა დაიბადო, ალბათ... მე კი, საერთოდ, დავიბენი, ვერც ვერაფერი ვისწავლე და ცოტა დროულად, ეროვნული ბუმის დროს, როცა ყველა დისიდენტი და ქვეყნის აღმშენებელი გახდა, წელნელა ჩამოვმორდი. როგორც „პოლიტიკოსმა“ ვერც სხვას ვარგე რამე და ვერც მე შევიძინე ვერაფერი. მწერლობაში კი, ჩემმა, რა თქმა უნდა, საკმაოდ დრო დაკარგა აქეთ-იქით სირბილში. კი არ ვწუნუნებ, ის მინდა ვთქვა, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, თუ იცის, რასაკვირველია, რისთვისაა მოწოდებული. იცით, რა ძნელია ეს? დიდი ნიჭი უნდა!

ისე, ჩემი გაუცნობიერება პოლიტიკაში იმას არ ნიშნავს, რა მდგომარეობაა ქვეყანაში, ვერ ვხედავდე. თითქმის ყველაფერი ზედაპირზეა. ქვეყანა დაინგრა, გაჩანაგდა... აქ ეროვნულიც პირადად გამოიყურება და არაეროვნულიც. დაკარგულია სამაჩაბლო, აფხაზეთი... ლტოლვილთა დაბრუნება მშობლიურ კუთხეებში დღითი დღე საეჭვო ხდება, მათი აქ ყოფნა კი უფრო და უფრო უარესდება, მიძიდება. რაც გინდა თქვი, იყვირე, ივივიშე, არაფერი გამო-

დის. მთავრობას ყური შეჩვეული აქვს, ჩვენც ვეჩვევით, ისინიც ეჩვევიან. როდემდე გაგრძელდება ასე, როდემდე იცხოვრონ ბაგა-ბაღებში, სკოლებში, ბოსლებში... არავინ არაფერი იცის, არც გვეცოდინება.

— მიგაჩნიათ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საბოლოოდ დაკარგულია?

— დაკარგულად არ მიმაჩნია, სამაჩაბლო-აფხაზეთი კი არა, მე მწერალი ვარ და ჩემი ფიქრი ნიკოფსია-დარუბანდს შორის ტრიალებს. ეს, შეიძლება სიჯიუტით მომდის. რა ვქნა, ვერასოდეს შევეგუები აფხაზეთის დაკარგვას. მე იმისი თქმა მინდოდა, იმ მოლაპარაკებებით, რასაც ჩვენი ხელისუფლება აწარმოებს, ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს. ჯერ ერთი, ყველამ ვიცით, ომით დაკარგული მშვიდობიანი გზით არ ბრუნდება. მეორე: მე კარგად ვიცი აფხაზეთის ბუნებას, ჩემი ყმაწვილკაცობა იქა მაქვს გატარებული. ვიცი, რა მეომაროცაა. კიდევ კარგი, დღეს იმას მაინც ვამბობთ, ვისთან წავაგეთ ეს ომი, ვინ გვებრძოდა და რანაირი იარაღითაც, თითქოს მსოფლიოშიც გაიგო, მაგრამ... ჩანს, ჩვენი საშველი კიდევ კაცი ხანს არ იქნება, არ იქნება იმიტომ, რომ ვინც ხელიდან გამოგვნივს აფხაზეთი, ვინაც ჩვენს სისხლში იცურავა, დაგვამსო და დაგვამცირა, ისევე იმას ვეხვეწებით მის დაბრუნებას. ერთი წუთით დაფუშვით, ასეც რომ არ იყოს, რუსი არასოდეს გააკეთებს ჩვენს საკეთებელს, არც ამერიკელი გააკეთებს და არც გერმანელი. ეს აზრი უნდა გაგვიჩნდეს ყველას, დიდიან-პატარაიანად და მაშინ შეიძლება დაკარგული მიწების დაბრუნება. ნათქვამია, მშვიდობა თუ გინდა, ომისთვის ემზადდით, ომი კი, უეჭველად დასასხდელი გვაქვს. შეგვიძლია თუ არა დღეს ჩვენი ომის წარმოება? სამწუხაროდ, არა! გალის მოვლენებმა გვიჩვენა, არა მარტო უსუსურები, უზნეოებიც ვართ. ამ ომში ბევრი რამ (ნეტავ არ ვიცოდეს!) ჩამოინერა, ფული გაკეთდა... ასეა. სანამ შინაურ მტრებს ვერ მოვრევივართ, გარეშე მტრებთან არაფერი გავგივა. არადა, შინაური მტერი მომხდურზე უფრო საშიშია.

— შინაური მტრებში ვის გულისხმობთ?

— ვის ვგულისხმობ და... ვინც ზევითაა და წყალს ვერ აუშლავს... ვინც ხელისუფლებაშია, ვისაც პოლიტიკოსობის პრეტენზია აქვს და დილა-საღამოს ტელეეკრანიდან გემოძვრავს. აბა, მოუსმინეთ პარლამენტს? რა „ნიჭის“ ფრქვევაა, რა ლაყაფი... ჭეშმარიტად სალყაბო ადგილია, სოფელს კვირანაგდებით „გვიშენებენ“. ისე ნუ გამიგებთ, ვინმეს ჭკუას ვასწავლიდე, მითუმეტეს, ქვეყნადგებულება მეოთხე გვერდზე

ვიმსახურებთ ჩვენ ამ ხალისს და მოავალის დავიმსახურებთ. თუ ასე ვილხარსა-ვიღარაჯანეთ...

ამ რამდენიმე ხნის წინათ რედაქციაში საკმაოდ ნიგნური ადამიანი გვესტუმრა. საუბარი, მის მიერ მოტანილი წერილის გამო, შეეხო ჩვენს დღევანდელ ყოფას. სტუმარს დავეთანხმეთ იმაში, რომ მართლაც ცუდ დღეში ვართ, ქვეყანას შეველა სჭირდება და თანაც სასწრაფოდ. ვერ დავეთანხმეთ ერთ რამეში: არაფერი გვეშველება, ისევე რუსეთი უნდა მოვებრუნოთო. ჩემდა გასაკვირად, სტუმარი რუსოფილი სულაც არ ყოფილა, უბრალოდ, სხვა გზას ვერ ხედავს თურმე.

ანურ ნათქვამსა თუ მწარე სიმართლეს საკუთარ მცდარ რწმენასა და პოზიციას ვარჩევთ ხოლმე და ჩვენზე ჭკვიანი, ნიგნური, სამშობლოსათვის თავდადებული მეორე არ გვმგებულა ამქვეყნად.

ამ პატარა წერილში არც რუსთა მიერ ჩვენს მიმართ განხორციელებულ პოლიტიკას მინდა შევეხო, არც ამერიკისა და დასავლეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე მინდა ვთქვა რამე. უბრალოდ, ერთი სურვილი მაქვს: ჩვენზე, ქართველებზე, ამ ბედკრული ქვეყნის



ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ადრეც, არაერთ ასეთ სტუმარსაც გამოუთქვამს მსგავსი პოზიცია, მათაც დაუჩივლიათ — არაფერი გვეშველება, ისევე „დიდი ძმა“ თუ გვიშველისო. რა არგუმენტები არ მომიყვანია მათთვის, რა მაგალითები არ დამისახელებია რუსთა მიერ ნაკეთებ „სანაქებო“ საქმეებზე საქართველოს მიმართ, მაგრამ სულ ფუჭად: ისინი თავიანთ ჭკუაზე დარჩენილან, მე — ჩემსაზე. ყველა ადამიანს, ბუნებრივია, საკუთარი რწმენა, შეხედულება, პოზიცია უნდა გააჩნდეს, მაგრამ როცა ოპონენტი ობიექტური, მკაცრი არგუმენტებით კედელთან მიგაყენებს, უკაცრავად პასუხა და, ოჩანი ვირვიტ ტლინკები არ უნდა ჰყარო და სიმაართლეს თვალეში შეხედო. როგორც ჩანს, ქართველებს საკმაოდ გვაქვს გამაჯდარს ეს მავნე სენი: სხვის ჭკვი-

ბედკრულ შვილებზე მინდა ჩემი გულსტკივილი გავეუზიარო მკითხველს და თუ ეს წერილი ბოლომდე ჩაიკითხა, იმაზეც მადლობელი ვიქნები.

დავინწყით მცირე ექსკურსით ჩვენს ისტორიაში. თქვენ კარგად უნყით, რომ ქართველობა ოდითგან სხვისი ხელის შემყურე არასოდეს ყოფილა, არც ეკონომიკურად და არც სამხედრო საქმეში. ქართველ მეფესაც და გლეხსაც (იშვიათი გამონაკლისის გარდა) სისხლში ჰქონდა გამაჯდარი მამულის, რწმენის ერთგულება და მისადმი უზნეარო მსახურება. ალბათ, ამიტომ მოვატანეთ დღემდე, შევინარჩუნეთ ქართული იერ-სახე, ადათ-წესები, ტრადიციები, რჯული, მაგრამ დღეის იქით რა იქნება, საკითხავი, აი, ეს არის. საკითხავია, რადგან დღევან-

გაგრძელება მესამე გვერდზე

სამხატვრო გალერეის წინ არ შეიძლება ადამიანის ყურადღება არ მიიქციოს სტენდმა, რომელიც თბილისელებს და დედაქალაქში შემოიხზნულ ლტოლვილებს გემოდღვრავს ამ უკანასკნელთა მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ. რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმობთ, რომ მსგავსი შეგონებანი თბილისის სხვა ადგილებშიც იქნება გაცხადებული. როგორც ირკვევა, იგი მოდის საქართველოს გაეროს აოსციაციიდან და ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატიდან და ყოფილა ლტოლვილთა და ადგილობრივი პირთა პრობლემებზე მიმდინარე საზოგადოებრივი ინფორმაციის ნაწილი.

სტენდზე ვკითხულობთ: „ლტოლვილი ის ადამიანი, რომელიც გამოექცა დევნას და გადაკვეთა საერთაშორისო საზღვარი“. ჩვენ, ქართველებს, ცხადია, უბრალოდ ჩვენი ლტოლვილების ბედ-ილბალი გვანუხებს და ამ სტრიქონებში გაცხადებულს

რას უშვებენ?

აზრს მათთან მიმართებაში ვაცნობიერებთ. როგორ, განა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან შემოიხზნულებმა რომელიმე საერთაშორისო საზღვარი გადამოლახეს? განა გაეროს შესაბამისი სტრუქტურის ჩინოსანთათვის დღემდე გაუგებარი გახდა, თუ საიდან აღმოჩნდნენ ჩვენი ლტოლვილები თბილისში და საქართველოს დანარჩენ მხარეებში?

როგორც გაეროს ჩინოსნები გემოდღვრავენ, „ლტოლვილებს შეუძლიათ ბევრი რამ შემატონ თავიანთ „ახალ სამშობლოს“. კვლავ დაისმის კითხვა: განა თბილისი და საქართველოს სხვა

მხარეები ქართველ ლტოლვილთათვის „ახალი სამშობლო“ გახდა? ჩვენ, „პაპუასებს“ მოგვაგონებენ, რომ ალბერტ აინშტაინიც ლტოლვილი გახლ-



დათ, მაგრამ იმდენი მაინც ხომ ვიცით, რომ დიდმა მეცნიერმა დატოვა ერთი ქვეყანა — გერმანია და შეეხიზნა მეორე ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს. ასე რომ, მოთხრობილი ანალოგია დიდად მოიკოჭლებს.

თურმე გაეროს შესაბამისი სტრუქტურა დიდად ზრუნავს, „რომ ლტოლვილებს თავად შეეძლოთ ღირსეული, მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების დანყება მსოფლიოს რომელიმე კუთხეში“. აბა, აი თურმე პირველ ყოვლისა რაზე ზრუნავს გაეროს შესაბამისი სტრუქტურა: რათა

ქართველმა ლტოლვილებმა მოხერხონ განსახლება ასევე მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში ჩვენს, გულუბრყვილო ქართველობას, კი დღემდე გგონია, რომ იგი ყოველ შემთხვევაში ცდომლობს მაინც ჩვენი ლტოლვილების დაბრუნებას აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

გაერო რომ უზარმაზარ და დიდად არაეფექტიან ბიუროკრატიულ მასინად იქცა, ამის თაობაზე ჩვენ, ქართველებს საკმაოდ კონკრეტული (და არა ანსტრატული) წარმოდგენა გვაქვია, მაგრამ მაინც არ გვებნოსა თუ ამ ორგანიზაციის ჩინოსნების გულგრილობა და ცინიზმი აქამდე მივიდოდა. უფრო მეტად გვაკვირვებს გაეროს შესაბამის სტრუქტურასთან თანამშრომელ ქართველთა ქცევა: ნუთუ მათ საჭესით დაეკარგათ ეროვნული ღირსების გრძობა და შეგნება და მთლად საერთაშორისო ჩინოსანთა ნება-სურვილს არიან აყოლილნი?

გურამ ყორანაშვილი

პარტიულმა მარტომ საქართველოში სსრკ-ებს არ ნიშნავს...

დავით ზაიძე — რუსეთის ონკოლოგიური ცენტრის დირექტორის გოადგილი, პანკროპანკრეატის საავიციონარო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის აკადემიის წევრი, ნიუ-იორკის აკადემიის წევრი, კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის სამართაშორისო კავშირის პრეზიდენტის წევრი (უნივერს), კიბოს კვლევის საერთაშორისო საკავშირის სპეციალური ექსპერტი (ლიონი). შპირაპისამპირ, ბიპაპ-ჯოგთ მასთან ინტერვიუს

ბატონ დავითს ამიერკავკასიის ქვეყნების ონკოლოგთა პირველ კონგრესზე შევხვდით, შემდგომ პარლამენტის წევრობის დატვირთვით დატვირთვით მის მეტად საქმიან შესვედრასაც დავესწარით, ხოლო ვრცელი საუბარი თბილისის ერთ-ერთ ულტარულ სალონში წარგვართეთ...

ბატონ დავით, თუ შეიძლება ცოტა რამ გვიამბეთ თქვენზე...
— დავიბადე თბილისში, დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა, რითაც

ვამაყობ, 1959 წლიდან ვცხოვრობ და ვმოდანებ მისკოვში და არა მარტო მოსკოვში, სხვადასხვა დროს ვიმუშავე ინგლისში, საფრანგეთში, ოსტორდის უნივერსიტეტში, ნიუ-იორკის საერთაშორისო კიბოს ინსტიტუტში, ასე რომ, ნამდვილი ინტერნაციონალური მეცნიერი ვარ.

— თქვენ ამიერკავკასიის ქვეყნების ონკოლოგთა კონგრესზე ხართ ჩამობრძანებული, როგორ ფიქრობთ, ეს არსებით როლს ითამაშებს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში? ერთი კარგი საქმე კი გაკეთდა — აზერბაიჯანელი და სომეხი ონკოლოგები შეარგა...

— რაც შეეხება აზერბაიჯანელების და სომეხების შერიგებას, ეს ჩვენი პრობლემა არ არის, პოლიტიკოსების საქმეა, თუმცა, რასაკვირველია, დადებითი ფაქტი იყო, ნეტავ ასე ჩვენც ვინმემ აფხაზებთან შეგვარგოს... კონგრესი კარგი ინიციატივა, მეცნიერული თვალსაზრისით შედეგიანად ჩატარდა, მაგრამ უნდა იყოს ფართომასშტაბიანი, ამიერკავკასიის კონგრესი არ უნდა ზღუდავდეს სხვა

ქვეყნების მეცნიერთა მონაწილეობას, ეს აუცილებელიცაა.

— ეს აზრი გამოთქვით კონგრესზე...

— რასაკვირველია, მე ყოველთვის ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ, ამიერკავკასიის კონგრესი უნდა ჩატარდეს, ასეც უნდა ერქვას, მაგრამ უნდა მოიწვიონ სპეციალისტები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეაქვთ მთელ მსოფლიოში ონკოლოგიის პრობლემების გადაწყვეტაში.

— რა აზრის ბრძანებით ქართულ ონკოლოგიურ სკოლაზე.

— ონკოლოგიური ცენტრი და ონკოლოგიის ინსტიტუტი საქართველოში ომის შემდგომ შეიქმნა. მას მდიდარი ტრადიციები აქვს, საქართველოს დღესაც შეუძლია იამაყოს ონკოლოგიის დარგში უძლიერესი სპეციალისტე-

ბით, საბჭოთა პერიოდში ყველაფერი ცენტრალიზებული იყო, ყველაფერი კარგი ცენტრში იყრიდა თავს, მაგრამ ის დრო ნაწიდა და საერთოდ, ჩემი აზრით, პოლიტიკა არ უნდა ეხებოდეს მეცნიერებს და მეცნიერებს.



— თქვენ რუსეთში თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ასოციაციის პრეზიდენტად ბრძანდებით.

— დიას, და ეს

შემთხვევითი არ არის. სწორედ კანცეროგენების ინსტიტუტში გვაქვს ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე ერთადერთი ლაბორატორია, სადაც კიბოს ეთიოლოგიის ფუნდამენტალური კვლევის გარდა, თამბაქოს

ტესტირებაც ხდება, თამბაქოს წვეა არის კიბოს გამომწვევი ძირითადი მიზეზი, გულიცა და ფილტვების დაავადების მიზეზიცაა, ეს უკვე ჰიპოთეზა კი არ არის, დამტკიცებული ფაქტია, ამის შესახებ ვერ კიდევ 1950 წელს გამოქვეყნდა შრომები ერთდროულად ინგლისსა და ამერიკაში, ხოლო 1965 წელს ნიუ-იორკში შეიკრიბა კონფერენცია, სადაც სხვადასხვა ტურად და გამოცხადდა, რომ თამბაქოს გამოწვევით შეიქმნება კონცეროგენი, სადაც სხვადასხვა ტურად და გამოცხადდა, რომ თამბაქოს გამოწვევით შეიქმნება კონცეროგენი, ე. პრეზიდენტი არის დავით ზაიძე, რომელიც კრძალავს თამბაქოს რეკლამას, რაც ევროპის პარლამენტის მიერ მიღებული დირექტივით, რომელიც კრძალავს თამბაქოს ყველა ტიპის რეკლამას, მიუღებელია. ამერიკაში შემცირდა გულის დაავადებები და სიკვდილიანობა. რატომ? იმიტომ, რომ ამერიკა არ ეწევა და ამერიკა გადავიდა ვეგეტარიანულ კვებაზე. საქართველოში კუჭის კიბოს სიკვდილიანობა დაბალია იმიტომ, რომ ქართველები ტრადიციულად სწორად იკვებებოდნენ.

ლუტურად იყენებენ. ამერიკაში, კანადაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შემცირდა მწველთა რაოდენობა. თამბაქოს საერთაშორისო კომპანიებს, ძირითადად ამერიკულს, თავის ქვეყანაში არა აქვთ გასავალი და ყოფილ სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აგრესიულად იდგამენ ფეხს, აგრესიულია რეკლამა, აგრესიულია მარკეტინგი, პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში თამბაქოს რეკლამა აკრძალულია, საქართველოში კი ტელევიზიით მე ვხედავ თამბაქოს რეკლამას, რაც ევროპის პარლამენტის მიერ მიღებული დირექტივით, რომელიც კრძალავს თამბაქოს ყველა ტიპის რეკლამას, მიუღებელია. ამერიკაში შემცირდა გულის დაავადებები და სიკვდილიანობა. რატომ? იმიტომ, რომ ამერიკა არ ეწევა და ამერიკა გადავიდა ვეგეტარიანულ კვებაზე. საქართველოში კუჭის კიბოს სიკვდილიანობა დაბალია იმიტომ, რომ ქართველები ტრადიციულად სწორად იკვებებოდნენ.

გაგრძელება მეხსრე გვერდზე

ვინ არის ღაფნაშავე, ანუ აქა აქაპი გაყინული ზუთის გასოცლები...

რედაქციაში შემოსულმა წერილმა, რომელიც ისეთ აქტიურ საკითხს ეხება, როგორცაა იზვიადით და გადაწყვეტის პირის მყოფი თევზების სახეობათა აღწერის საკითხი, ჩვენი ყურადღება მიიქცია. ალბათ, დადგა დრო, რომ კომპეტენტურმა პირებმა იკონსტრუირებინ საკმის გამოსწორებაზე. მითუმეტეს, როდესაც იგი არაკომპეტენტური პირების ხელშია და ყოველივე ამის ფონზე არაპერსპექტიულად გამოიყურება.

წერილში აღნიშნულია, რომ „ანთროპოგენური ზემოქმედების და სხვა ნეგატიური მოვლენების შედეგად, უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუარესდა საქართველოს წყალსატენიების ეკოლოგიური მდგომარეობა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა თევზის მარაგი.“

დღეისათვის სრული განადგურების საშიშროების წინაშე არიან ისეთი უნიკალური ენდემური ჯიშები, როგორცაა საერთაშორისო წითელ წიგნში შეტანილი ატლანტიკური ზუთის კოლხური პოპულაცია, ორაგულისებრი და სხვა.

რაც შეეხება სარეწაო დანიშნულების თევზებს, მათი მარაგი მეტად უმნიშვნელოა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მისი სრული განადგურება. წყალსატენებში თევზის მარაგის აღდგენა გეგმიური ხელოვნური აღწერის მიზნით გაგრძელდება.

თევზდაცვის, აღწერის და აკლიმატიზაციის საშუალებების წლების მანძილზე ახორციელებდა ყოფილი საკავშირო თევზის მრეწველობის სამინისტროს „საქმავალდათევზმშენის“ სამმართველო სახელმწიფო ბიუჯეტთან გამოყოფილი სახსრებით. საკავშირო

სტრუქტურების გაუქმების შემდეგ, ფინანსირებით უზრუნველყოფის მიზნით, სამმართველო დაქვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეწოდა ჯერ „საქართველოს შავი ზღვის ეკონომიკური ზონის, თევზის მარაგის დაცვის, აღწერის და თევზჭერის რეგულირების სამმართველო“, ხოლო შემდგომ „ეკოლოგიური პოლიციის სამმართველო“.

მაშინ ამ ორგანოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციები რამდენადმე შესაბამისად ეერთმანეთს, ხოლო პოლიციის შესახებ დეკრეტის დამტკიცების შემდეგ ცხადი გახდა ფუნქციონირების ურთიერთშეუსაბამობა. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ შეეძლო სათანადო მოცულობით თევზის აღწერის სამუშაოებისათვის სახსრების გამოყოფა, რის გამოც ეს სამსახური გადაეცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

სპეციალისტები იმედის თვალით შეჰყურებდნენ რიონის ზუთისის მოსახლეობის ქარხანას, რომელიც 1982 წელს აშენდა ვარციხეჰის მშენებლობასთან დაკავშირებული საკომპლექსიო თანხებით და იგი ყოველწლიურად თითქმის 1989 წლამდე 2 მლნ. ზუთისის მოზარდს უშვებდა მდ. რიონში. არ იყო სასრები და ქარხანა თითქმის უმოქმედოდ იყო თავისი მუშარმაზარი 40 შა. სატბორე მეურნეობით (მიუხედავად თხოვნისა, არ იქნა დაშვებული სამინისტროს მიერ ტბორების გამოყენება სხვა სახეობის თევზების მოშენებისა და გამოზრდისათვის, ვინაიდან ეს სამეურნეო ფუნქციები იზრდებოდა). სპეციალისტებისა და მეცნიერ მუშაკის, ბ-

ზურაბ ზარქუას მიერ შარშან, „ღია ცის ქვეშ“ ყოველგვარი თანხების გარეშე ხელოვნურად იქნა მიღებული კოლხური ზუთისის ლიფსიტები, რომელიც მდინარე რიონში გაუშვებს. ბატონი ზარქუასათვის მადლობაც არავის უთქვამს. სპეციალისტებმა თავისი მოვალეობა შეასრულეს.

1998 წელს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტმა წარადგინა პროგრამა: „შავი ზღვის სანაპირო ზოლში გავრცელებულ ზუთისებრთა ენდემური აღწერის გზით, რესტორნის ლიფსიტებთან განხორციელებისა და ბუნებრივი ტოფობის დაგეგმვის შესახებ“ (პროგრამის ავტორი მ. საეთასი), რომლის დაფინანსებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარი შეადგინა და მაშინ, როცა სპეციალისტები ელოდებოდნენ რიონის ზუთისის მოსახლეობის ქარხანაში ხელოვნურ აღწერის მოვებაზე მუშაობას, პროგრამა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ინსტიტუტს გადაეცა (დირექტორი აკიო ფანშულიძე), პროგრამა გადაეცა და, ფინანსური თუ მეცნიერული პასუხისმგებლობა „ყველაფრის“ მცოდნე ფანშულიძეს დაეკისრა და დაჭერილი მწარმოებლები, რომლის რაოდენობაც იმდენად შემცირებულია, რომ თითებზე ჩამოსათვლელია დარჩა, ტაფაზე აღმოჩნდა, პროგრამა ჩაიშალა, ფანშულიძემ გააგრძელა ბიუჯეტის თანხის ხელზე გამოტანა და თავისი დანგრეული საქმის რემონტით დამთავრება მოინდომა. გარდადანი ყველაფერი კარგად ჩანს, იყო პროგრამა ზუთისის ხელოვნური აღწერისათვის, რომლის მთავარ მიზანს ზუთისის

გაგრძელება მეხსრე გვერდზე

ვიმსახურებთ ჩვენ ამ ხელისუფლებას და მოავალის დავიმსახურებთ, თუ ასე ვილუარსაბ-ვიდარჯანათ...

მეორე გვერდიდან

დელ ქართველთა მეტი წილი, განსხვავებით წინაპრებისაგან, ლუარსაბობს და დარჯნობს, საკუთარი კუჭის მონაგამდარა და ქვეყნის ბედია, უკაცრავად გამოთქმისათვის, ფეხებზე ჰკიდია. საერთო ნიპილიზმმა, ქვეყნის ბედისადმი გულგრილმა მიდგომამ, ყველაფერი უცხოურის გაღმერთებამ და წამხედურობამ ერს საკუთარი, ოდინდელი სახე დაუკარგა და სხვათა ხელის შემყურედ აქცია.


ანდრე მორუა, ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსი, წერს ერთ-ერთ ანთქალაქე, ვინც ამბობს, მიმიფურთხები პოლიტიკისთვის, აფურთხებს საკუთარ თავსაც, ქვეყანასაც და ამ უკანასკნელს სწირავს დასაღუპავად, ანუ აგდებს იმ ადამიანთა ხელში, რომელთა პოლიტიკაც დემაგოგიაზეა აგებული და ასეთი პოლიტიკა კი, ადრე თუ გვიან, ქვეყნისთვის კატასტროფული მარცხით მთავრდება. ანდრე მორუას ეს, თუ არ ვცდები, ამ საუკუნის 50-იან წლებში უნდა ჰქონდეს ნათქვამი, მაგრამ ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, განსაკუთრებით კი სწორედ რომ ჩვენს დღევანდელობას შეეფ-

ერება ზედმინევიტ მორუას ეს სიტყვები: ჩვენთან პოლიტიკა (ხელისუფალთა) დემაგოგიაზეა აგებული, მოქალაქე კი, (უმრავლესობას) ისევ უკაცრავად, მაგრამ ეს სულაც ფეხებზე ჰკიდია, ანუ ისევ მორუას თუ დავესხებებით, მას მიფურთხებული აქვს პოლიტიკისთვის და აქედან გამომდინარე, დღევანდელ მმართველთა ხელში ქვეყანაც კატასტროფულ მარცხს განიცდის.



მოქალაქეთა (მოქვეყნობაში) არ გვაქვს მხედველობაში) ეს პოზიცია 15 ნოემბრის არჩევნებზეც კარგად გამოჩნდა. მათი უმრავლესობა, ანუ 70 პროცენტი საერთოდ არ მივიდა არჩევნებზე და ამით ქვეყნის ბედისადმი საკუთარი გულგრილობაც გამოამჟღავნა, ხოლო მისულთაგან მესამედმა ხმა კვლავ იმ პარტიას მისცა, რომელმაც მიიყვანა დაქვეყნის პირამდე ქვეყანა. ე. ი. რასთან გვაქვს საქმე? პასუხი ნათელია: საერთო ნიპილიზმთან, ქვეყნის მომავლისადმი აბუჩ

დამოკიდებულებასთან. არადა, გასაკვირია ლმერთმანი: ქუჩაში, ტრანსპორტში, შინაურობაში, ხალხის თავშეყრის ადგილებში, ახლოვლები, მეგობრები, ნაცნობები, შემთხვევით შეხვედრილი ადამიანებიც კი ერთმანეთს შესჩივიან ხოლმე დღევანდელ დუხჭირ ყოფას, დაკარგულ აფხაზებსა და სამაჩაბლოს, დაქვეულ ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობას, უწყსიობასა თუ უხელფასობას, უდე-



ნობასა თუ უწყსიობას და უწყსიობას, ერთმანდ იშვერენ ხელს დღევანდელი ხელისუფლებისაკენ და ამით ბრალია ყველაფერი, ამით ჩავაგდეს ამ დღეშიო, ჩვიან. გასაკვირია, რადგან სად ვიყავით ან სად ვართ ამ დროს თითოეული ჩვენთაგანი, რატომ არ ვიღებთ ასევე ერთმანდ ხმას და ამასაც რომ თავი დავანებოთ, რატომ არ ვსარგებლობთ იმ ელემენტარული და ამავე დროს მთავარი

გაგრძელება მეხსრე გვერდზე

კომენტარი პრეზიდენტის 24 ნოემბრის რადიოინტერვიუსზე

პრეზიდენტის თემა

საქმის ლოგიკა მარტივია. პრეზიდენტის მმართველი გუნდი მთლიანად კორუმპირებულია. მასში არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გადასახადებს აკრებენ არა თავისი ჯიბის სასარგებლოდ, არამედ სახელმწიფოს სასარგებლოდ. რატომ არ არიან? იმიტომ, რომ სისტემაში, რომელიც თვითონ იპარაჯეს ათეული მილიარდობით დოლარს და რომელსაც ქურდობაცა და თანამშრომლების პირები დაუსჯელნი დაუდიან, რა გითი თანამშრომელი მხოლოდ ძარცვა-გლეჯის მიზნით მივა. კაცი, რომელიც დაიძახებს „საქართველოს ყიდიანო“ და „საქართველოს პლატატობენო“ ამ სისტემაში არ გაჩერდება (არც გააჩერებენ). პრეზიდენტი სხვაგვარად ფიქრობს. მას მიაჩნია, რომ „კორუფციის კატასტროფული გაფრცხლება“ დიდნილად განაპირობა „თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების საკითხმა“. ეს გულუბრყვილო ახსნა მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის თუ შეიძლება იყოს სარწმუნო.


ვნახოთ პრეზიდენტის მიერ დასახელებული რიცხვები. მისი ცნობით, მხოლოდ მიმდინარე წელს „საბაჟო გადასახადების დამალვისა და აღურიცხავობის გამო“ სახელმწიფომ 100 მილიონ ლარზე მეტი დაკარგა, ხოლო ელექტროენერჯის საფასურის აუნაზღაურებლობის გამო

ამ ბოლო წლებში — 260 მილიონი. „დავუშვათ ეს ციფრი ზემოთ ნახსენებ ას მილიონს — სწორედ აქ იმალება პრობლემის არსი“ — ამბობს იგი.

არა, არის აქ არ იმალება და ვერ დაიმალება. არსი იმალება იქ, სადაც მილიარდებია გაფლანგული და არა მილიონები — ესენია ა) გაუჩინარებული საგარეო კრედიტები ბ) ჩალის ფასად და ძვირ ქრთამად გაპრივატიზებული ობიექტები გ) ამავე პროპორციით უცხოელებზე გაყიდული ალუმიუმის ფასეულობები (მათ შორის ის 70 მლნ ვენახისა კახეთში, რომლის გასხვისება პრეზიდენტს ესოდენ უხარია) დ) საკუთარი მრეწველობის ჩაკლა მასწავლებელთა გადასახადებით და სამაგიეროდ უცხოური საქონლის საცალო ვაჭრობის ბაზრის, როგორც მექრთამე მოხელეებისათვის უდიდესი მენჯელ-ფურის შექმნა. ე) დაბოლოს, რაც მთავარია, ადგილობრივი ინტელექტის „სახურავს“ ქვეშ ამოფარებული მონოპოლიური მფრინების შექმნა სანავის, ელდენის, პურ-მარცვლეულის, თამბაქოს სფეროში, რომლებმაც მოსახლეობას (და არა სხვა ვისმე) ნამგლიჯეს დღემდე ის ოციდან სამოცდაათამდე მილიარდი დოლარი, რომელიც დღეს უცხოეთის ბანკებშია გატანილი.

მეჩქმე, რომელიც ქრურგიულ ოპერაციებს აკეთებს და ყველა

პაციენტი უკვდება, თეთრი ხალათით მუშაობას უნდა მოეშვას. საქართველოს პრეზიდენტი ამგვარ ვითარებაში სხვა დასკვნას აკეთებს: ჩვენ, ქართველები ვართ უფარვისნი (და არა ჩვენი ხელისუფლება), თორემ შეხედეთ



მეზობლებს, სომხებს, რა პატიოსნები არიან და საქმე რა კარგად მიუდითო.

სომხეთის თემა

პრეზიდენტმა მხოლოდ გაკვრით ახსენა სომხეთის პრეზიდენტი ვიზიტი თბილისში. ამ თემას რადიოსმენელი, რა თქმა უნდა, გაფაციცებით ადევნებს თვალს ყოვლის ჩამხმობი ეკონომიკური

გაჭირვების მიუხედავად, რადგან მასში როგორც ქვეყნისადმი ხელისუფლების ერთგულების, ისე ორგულობის დიდი შესაძლებლობები დევს.

აზნაზათის თემა

პრეზიდენტის სიტყვები, რომ ბერეგოვსკისთან ერთად ეს თემა „თანამეგობრობის რეფორმირების და განვითარების კონტექსტში განიხილა“. ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ცინიკური გამოხატუებებია ამ ტრაგედიის მთელი ისტორიის მანძილზე. (რას ნიშნავს ამ პრობლემის „მოგვარება“ რუსეთის და, მით უმეტეს, მისი განახლებული იმპერიის — „სენგეს“ — კონტექსტში, კარგად ცნობილია). ცინიზმით მას მხოლოდ მეორე იქვე წარმოთქმული ფრაზა თუ შეედრება „ჩვენთვის უმთავრესია ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება“. საქართველოს ტერიტორიის დაბრუნება რაღაა? „უმთავრესი“ ის არ არის? და ვის ხელში სურს ათასჯერ ხელმოცარულსა და „მოტყუებულ“ პრეზიდენტს მათი „ღირსეული დაბრუნება“? მსმენელი ადვილად წარმოიდგენს ამ განცხადებათა ფონზე, როგორი „ღირსეული“ იქნება ის „დოკუმენტები“, რომელთა ხელმოწერასაც პრეზიდენტი ერისა და ქვეყნის ზურგს უკან ამზადებს.

1988 წლის თემა

უფრანლისტი ონიანი არ ამბობს მართალს, რომ 1988 წლის 23-29 ნოემბრის აქცია (რომელიც მხოლოდ შიმშილობაში არ გამოიხატებოდა) გ. ჭანტურის მიწყობილი იყო. იგი მოაწყო ერთგულმა მოძრაობამ ერთობლივად და წამყვანი როლი მასში, ისევე როგორც ყოველივე სხვაში, რაც მასინ კეთდებოდა, არავისზე არა ნაკლებად ექვემდებარებოდა. გამსახურდიას და მკოსტავას, აგრეთვე არაერთ სხვა პირს. შევარდნაძის როლი გორბაჩოვთან საუბარში თვით შევარდნაძემ ალბათ სხვებზე უკეთ იცის. მაგრამ აქციის წარმატება ხომ ამის შედეგად არ იყო, არამედ თვით აქციის მონაწილეთა მტკიცე და მაღალზნობრივი პოზიციისა, ამის ართქმა, უბრალოდ, სიცრუე გახლავთ.

სტაროპოლიტოვას და პარეზოვის თემა

კრიზისით მოცული ქვეყნის პრეზიდენტის განსაკუთრებული ყურადღება ამ პიროვნებათა თემისადმი ისეთსავე გამოუსწორებელ პროვინციულიზმზე მეტყველებს, როგორც მის მიერ ქალბატონ ალა პუგაჩოვას ხსენება მთავრობის სულელო არსტოვარტის ნაწილად, და მხოლოდ ამ ფონზე ხდება გასაგები ის ნოსტალგიური კილო, რომლითაც პრეზიდენტი უცხო ქვეყნის „პერსპექტივის“ ეპიზოდებს იხსენებს.

შავატიანი

პსსპრობოთ ისა, რისი ღირსის ვართ...

მეორე გვერდიდან

ნის პრეზიდენტს, მაგრამ რამდენჯერ უნდა მოტყუდეს რუსისგან? ანრი ჯერგენია არ ჩამოადის ჩვენდა სასიკეთოდ თბილისში, ეს სახელმწიფო მინისტრმა იცოდეს და პარლამენტის თამაჯომარემა... ცოტა სერიოზულად უნდა ამ საკითხს მიდგომა.

ბატონო ზაურ, ამას წინათ, შიდა ქართლში გახლდით, შიდა ქართლის გუბერატორის ირაკლი ბოჭორიძის აზრით, სამაჩაბლოსთან ურთიერთობის დარეგულირებაში დიდი როლი ითამაშა სახალხო დამოუკიდებლობის აფხაზეთთან, რატომ ვერ ხერხდება?

სხვათა შორის, ამაზე მეტ მიფიქრია. გეთანხმებით, ადამიანები პოლიტიკის გერეზე, ხელისუფალთა შეუთანხმებლად ერთმანეთს ეძებენ, უახლოვდებიან, თანხმდებიან... ამ მხრივ აფხაზეთშიც არსებობს ძვრები. არის ინფორმაცია, რომ აფხაზ კაცს ომიც მოხერხდა და შიმშილიც, სიხარულით შეურიგდება გუშინდელ ნათესავს, მეზობელს, მეგობარს და, რაც მისთვის უმთავრესია, შეშინებულ-მარჩვეულს... აფხაზს ქართველი რომ ინახავდა, ეს ყველაზე ათვის ცნობილია; კი, უნდათ ჩვენი დაბრუნება, მაგრამ ჯერ კიდევ შიში არსებობს თოფიანი კაცი, სეპარატისტის, ტერორისტის, და, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსის... მერწმუნეთ, ქართველიც შეურიგდება აფხაზს, ჩვენ ერთად ვიცხოვრობთ, როგორც ერთცხოვრია, ოღონდ სხვა ეროვნებას: რუსს, სომხს, ჩეჩენს აშკარად გაუჭირდება იქ უკვე და სასურველი იქნება, ალბათ, გზა მშობლიური ქვეყნისაკენ თუ ექნებათ... ასეც მოხდება, ალბათ.

როგორც გავიგე, ამ რამდენიმე დღის წინათ, დიდი ვნებათაღელვა ყოფილა აფხაზურ უზენაეს საბჭოში. რამდენადაც ვიცი, მწერალი ალექსი გოგუა გამოსულა და უთქვამს, გვიანდა თუ არ გვიანდა,

ქართველები უნდა დაბრუნდნენ. ეს აზრი ბევრმა გაიზარა თურმე, რამდენიმე კაცს (თუ არ ვცდები, ათამდე) პროტესტის ნიშნად გაუტოვებია სესია. არადა, ორი-სამი წლის წინ ყველა სხვა აზრზე იყო, ქართველთა დაბრუნების მსურველს შეიძლება ფიზიკურად გასწორებოდნენ. მწერალ შალოდია აჯინჯალის დამოკიდებულება ცნობილია. რამდენადაც ვხვდები, ისინი დანაშაულს გრძობენ თავისი ხალხის და მერე ჩვენს წინაშეც.

ისე, კაცმა რომ თქვას, აფხაზური სეპარატიზმი, აფხაზური ომი, ისევე მწერლების — ახუბების, კვირინიების, გოგუების, გურგულების მომზადებულა... ესეც შენი „აფხაზები“!

თქვენ წარმოშობით სამეგრელოდან ბრძანდებით, სამეგრელოს თემა ახოუწურავი გახდა... გამოვარდება ერთი ვილაც არამზადა, თოფს აიღებს ხელში და უმაღ სამეგრელოსთან აიგივებენ...

არ მინდა, უკვე მომწყინდა ამდენი წუნწუნ: სამეგრელო განირცხ, სამეგრელო დარჩაგრეს, სამეგრელოს, როგორც უცხო, დაპყრობილ ქვეყანას, ისე გადაუარ-გადმოუარეს საკუთარმა შვილებმა-მეთქი... ეს ათასჯერ ითქვა, დაინერა... ყველა აღიარებს, ისიც კი, ვინც ამ ნერვ-ვა-გაჩანაგებას ხელს უწყობდა. თუ არ უწყობდა, თითქოს არაფერი, პრუსუშრად იყო, წუნწუნს შინ, სახლშიც ვერ ბედავდა... უბედურება ის იყო, ვინც მაშინვე ამბობდა, ფილტვების დასკვობამდე ჰყვიროდა, გონს მოსულიყო ხელისუფლება, თოფიანი მრბეველი, ურჯულ... არც იმას გამოუვიდა რაიმე, როგორც ამბობენ, ძალი იყვდა, ქარავანი მიდიოდა... ასე რომ, სამეგრელოსთან, როგორც მთელი ერის წინაშე, მისი წარსულის და მომავლის წინაშე, თითოეული ქართველი დამნაშავეა... რა თქმა უნდა, მეტნაკლებად. ხელისუფლება კი, ხელისუფლება მეჩვენება დროდადრო დასცინის სამეგრელოს... ადრე ლოთი ქობალი-

სთან აიგივებდა მთელ კუთხეს, დღეს ვინმე ელიავა გამოიჩორკნა... უფრო სწორად, ისეა, ვის როგორ და როდის დასჭირდება. ქობალი-ელიავა... სხვა გვარიც გამოჩნდება... ეს უბედური ელიავა... რუსმა ხელი დაიბანა, ელიავას დონეზე არა ვარო... აქეთ ზვიადისტები მოლაღატეს ეძახიან, იქით შევარდნაძის კაცები დასაჭრად დასდევენ... რა ქნას საწყალმა კაკომ, სად წავიდეს? ტყეში დიდხანს ვერ დაიმალება, სამწუხაროდ, არც ისე ხშირია და უდაბური... თუმცა ამაზე, ვისი კაციც არის, ის იფიქრებს... დიდი ჭკუა არ უნდა, რომ ცუდი დასაძრული აქვს ამ საქმეს.

ასლან აბაშიძემ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გააფრცხლა ინფორმაცია, თითქოს თერაპიულ შაშაშვილმა პრეზიდენტს სთხოვა სამეგრელოზე ერთხელ კიდევ გადავიდა და მეგრელებს განეყვება... ესეც დიდებული პროლოგი...

აქ უკვე, რბილად რომ ვთქვა, გაცივებული ვარ. ჯერ ერთი, ბატონი თემურ შაშიაშვილი არ არის ამ დონის კაცი. წმინდა წყლის ბლეფია! მეტსაც ვიტყვი, ასეთი რამე დღეს გულშიც რომ იყო, ხამაღლა ვერ იტყვი. სხვა თუ არაფერი, მეგრელების განეყვება საქართველოს ამოწყვეტას ნიშნავს. საინტერესოა, რისთვის დასჭირდათ ეს, იმ კაცს რისთვის დასჭირდა, ვინც ეს ყალბი ინფორმაცია მიანოდა ბატონ ასლან აბაშიძეს. საერთოდ, რას ნიშნავს ეს? თუ გავიხსენებთ, ადრეც გაისმა მსგავსი რამე, ისევე აჭაროვან, ვინმე ახალკაცმა „ალორძინების“ ყრილობაზე განაცხადა, „ჯავახის“ ლიდერების მოკვლა დამავალა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ბარამიძემო. რისი დამავალბელია ბარამიძე?! პირიქით, ასე მგონია, ოღონდ ბუნტი წუ იქნებოდა იქით უფორებს კოქს სომხებს. ახლა შაშიაშვილმა მოითხოვა მეგრელების ამოყვება და ამას თავად ბატონი ასლანი გვანავდის. რა ვქნათ ჩვენ, საწყალმა მეგრელებმა, ბატონი აბა-

შიძე ვიგულოთ ჩვენს მხსენელად და დამცველად, თუ იმერეთს გამოეუცხადოთ ომი?


საცოდავი მეგრელები... შეიძლება სამეგრელოს უჭირს დღეს, ისე წელ-გამართული ვერ არის, როგორც მის ჯიშს და ჯილაგს ეკადრება, მაგრამ უფურთხი არც ახლა და არც არასოდეს ყოფილა. საერთოდ, არ ღირს ამაზე საუბარი.

სჯობს მომავალზე ვისაუბროთ. „ცისკრის“ ახალგაზრდული დამატება „ნობათი“ თუ გამოდის? — „ნობათი“ — ც

„ცისკრის“ დამატებაა, თვრამეტი წელიწადია გამოდის. „ნობათი“ ახალგაზრდა, დამწყები ავტორების ჟურნალია და თავის ფუნქციას ასრულებს. ახალგაზრდობა მოდის „ნობათიდან“ „ცისკარში“, „ცისკრიდან“ ქართულ მწერლობაში. ჩვენი უმთავრესი მოვალეობა ეს არის — ხელი შეუწყობთ ახალგაზრდა, ნიჭიერ მწერალს.

ბატონო ზაურ, საინტერესოა თქვენი აზრი მწერალ ჯაბა იოსელიანზე. ჯაბა დღეს ციხეშია. არანაკლები დამნაშავეები კი თბილ საგარძლებში სხედან.

ბატონ ჯაბას პოლიტიკის არ მესმის. ვფიქრობ, არც ჰქონია. აბრალებენ რაღაცას. აი, მის მწერლობას კარგად ვიცნობ, რაც დაუწერია, თითქმის წაკითხული მაქვს. „მესამე განხილვის“ „ცისკარში“ დაბეჭდვა მინდოდა, მაგრამ წინადად გამოვიდა, დამასწრო... უდაოდ საინტერესო მწერალია, საინტერესო პიოგრაფიის კაცი, ოღონდ არა პოლიტიკაში. „მხედრონი“? არ შეიძლება დადებითი აზრი მქონდეს, რაც არაერთხელ მითქვამს და დამიწერია. ახლა თავს ვიკავებ, მიზეზს მიმიხვებით, ალბათ, ნახევარზე მეტი ციხეშია, ბევრი — მიწაში... თავად დაერივნენ ერთმანეთს, მთავრობამაც ხელი შეუწყო... საერთოდ, ასე ვიცი.



ყველა ცოცხა ერთს უნდა გადავბრალოთ და მოვთხოვოთ, სულ ერთია, სამართლიანი იქნება თუ უსამართლო, თითქოს მათ თვინათი არ ჰყოფნოდეთ. არადა, ესეც ხომ არის. აფხაზეთში თუ ვინმე იბრძოდა, ისინი იბრძოდნენ... ბევრი დიდებული ბიჭი დაიღუპა.

რაც შეეხება სამეგრელოს ანიოკება-დალაშქრებას, აქაც მარტო „მხედრონი“ ხელის შეხოცება არასამართლიანია. სხვათა, უფრო ზემო ეშელონებშიც უნდა აგონ პასუხი.

რას ფიქრობს მწერალი ზაურ კალანდია, რა მომავალი შეიძლება მქონდეს ქვეყანას რისი იმედით უნდა ვიცხოვროთ... — რა მომავალი შეიძლება გვექონდეს?


უმომავლოდ ჩვენი მტერი იქნა ისე, ყველაფერი ჩვენზე დამოკიდებული უფრო სწორად ისეთი ქვეყანა გვქმნება, როგორცაა ავაშენებთ, რისი ღირსიც ვართ. ასე რომ, უფრო ალავი სიგლახის მიუხედავად იმდენი კარგი და ღირსეული თვისება აქვს ქართველ კაცს, არასოდეს გაინიერება! ამის იმედად ვარ და ვიქნები.

ესაუბრა ივოლდა ცირაძე




„რანი ჰიყავით და რანი პართ ქართველები და რა გვმართებს წინაპრებისა და საგოგონოსი“, ანუ გამოხმაურება მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის წერილზე

ჩვენი თაობის მკითხველისათვის იმდენად ღირებული და დიდია რომანი „დათა თუთაშხია“, რომ მისი ავტორის, მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვას და აზრს საზოგადოებაში საკმარისი წონა და ფასი გააჩნია. მით უმეტეს, ინტერესს იწვევს, თუ რას



ფიქრობს ბატონი ჭაბუა დღეს და როგორ აფასებს საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას. ამიტომაც მიიტყვია ყურადღება გავ. „ლიტერატურული საქართველოს“ 6 ნომერის ნომერში გამოქვეყნებულმა მწერლის პუბლიცისტურმა წერილმა — „სადღეისო შენიშვნები“.

ბატონი ჭაბუა თავის წერილს იწყებს, როგორც თვითონ აღნიშნავს, ჰეგელისეული დებულების მოყვანით, რომ „ისტორიული პიროვნებები დატვირთულნი არიან მსოფლიო ისტორიული მისიით. მათი ფუნქციაა ბოლომდე ალაშქრონ ღმრთივ უფლად ბოძებული დანიშნულება.“ ამის შემდგომ ავტორი ხაზს უსვამს, რომ ილია ჭავჭავაძემაც ბრწყინვალედ აღასრულა თავისი მისია — „ქართველი ერის სული ამოქმედა და გამოაღვიძა. ამას რომ მორჩა, მერღვა ინება განგებამ რომ არაკაცების ტყვიით განგმირულიყო, რათა ტიტანად, ახალი საუკუნეების საქართველოს უდიდეს ეროვნულ გმირად ელი-არენბინ იგი თავის ერსო.“ და აი, ამ მართლაც ტიტანსა და ეროვნული გმირის, ილია ჭავჭავაძის ედუარდ შევარდნაძესთან პარალელის გაკლება, რასაც ბატონი ჭაბუა აკეთებს, გაცივებს და მწარე სინანულს იწვევს. მწერალი ამბობს, ასევე ებრძვიან ჩვენს პრეზიდენტს, როგორც ილიას, რათა „გული გაუხეთქონ და ბუნებრივი სიკვდილით ჩამოაშორონ საქართველოს, ქართველი ერის თავაცობასო“, მაგრამო, აგრძელებს, მართლაც კარგი წიგნის ავტორი — „ჰეგელ-



ისეული ისტორიული მისიის დებულება მუშაობს. ედუარდ შევარდნაძე წავა მხოლოდ მაშინ, როცა მისი ისტორიული დანიშნულება აღსრულებული იქნებაო.“ აი, აქ არის სწორედ სადაო და საკამათო ბატონი ჭაბუასთან. მას ედუარდ შევარდნაძე იმდენად დიდ ეროვნულ გმირად მიაჩნია, რომ ერის სულიერი და ბუნებრივი გმირის ნიშანს ეტად აღიარებულ, ერის მამად ნოდებულ დიდ ილიასაც კი შეადარა. იმასწავლებს კი ედუარდ შევარდნაძის საქმიანობა თუ მოღვაწეობა ისეთ შეფასებას, რომ იგი დიდ ილიასთან პარალელის გაკლების

ღირსად ჩავთვალოთ, საკითხავი, მართლაც რომ აი ეს არის. ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის წიგნი „დათა თუთაშხია“ იმით არის მკითხველისათვის ძვირფასი, რომ მასში საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საჭიროებოტო საკითხზე ბრძნული მსჯელობაა გადმოცემული. აი, ზოგიერთი მათგანი: „ბუნებაში, ალბათ, არაფერია ერთმანეთზე ისე პირდაპირ დამოკიდებული, როგორც პიროვნების ზნეობაზე — მისი ერის ბედ-იღბალი, მოქალაქის ზნეობაზე — მისი სახელმწიფოს ავ-კარგი და პირუტყუ.“ ძლიერი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს დახასიათებისას მწერლის გმირი ამბობს: „ამოქმედა და დროთა განმავლობაში დამკვიდრდა ზნეობრივი პრინციპი: ჯერ ვაძლევ ერსა და სახელმწიფოს, რაც კი რამ მამადია და შემდეგ ვიღებ მისგან იმდენს, რამდენსაც დავითრევ, ან რამდენსაც მარგუნებენ თუ გადმომიგდებენ.“

დღეს, თუ სალი თვლით გავახანალიზებთ საქართველოს მდგომარეობას, სადაო არ უნდა იყოს, რომ საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად კატასტროფულ მდგომარეობაშია. ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ხალხის უდიდესი ნაწილი შიმშილობს, ხოლო მმართველი კლანი ქვეყნის ძარცვით გასუქებული, განცხრომაშია, ე. ი. თუ ვისარგებლებთ ბატონი ჭაბუას ფორმულით, რომლის მიხედვითაც პიროვნების ზნეობაზეა დამოკიდებული ერის ბედ-იღბალი, მაშინ უნდა ითქვას, რომ დღეს ქვეყანაში პარაზებს უზნეობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კაცობრიობის მიერ სახელმწიფოს გამოგონების შემდეგ ამა თუ იმ სახელმწიფოს ბედზე ძირითადად პასუხისმგებელია მისი ხელისუფლება, მაშინ მიგვიფართოვოთ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ დღევანდელი საქართველოს უბედურების მიზეზი ყოფილა შევარდნაძის მანკიერი ხელისუფლება, ხოლო ამ ხელისუფლების მეთაურის, პრეზიდენტ შევარდნაძის ილია ჭავჭავაძესთან პარალელის გაკლება, მსუბუქად რომ ვთქვათ, საზოგადოების თვალში, ვგონებ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აგდებს.


სამწუხაროდ, ძნელი წარმოსადგენია ბატონი ჭაბუა დაეთანხმოს აზრს, რომ საქართველო თავისი მდგომარეობით დღეს მუხლებზეა დაოქებული და ამ ხელისუფლების ხელში მისი ფეხზე წამოდგომის რაიმე პერსპექტივაც არ არსებობს. ელიავას უბედურეკი გამოსდომის აღკვეთის შემდეგ, კაცი რომ მიიჩნევს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალა ბრძოლისუნარიანიაო, აქ შავის თერთად ჩვენების სურვილი ჩანს მხოლოდ. ჯარის ფუნქცია არის საკუთარი ხალხისა და ტერიტორიის დაცვა მტრის მიერ ხელყოფისაგან. როცა ერთი მუჭა აფსუა და ოსი სეპარატისტები შენი ერის შვილების სისხლს სვამენ, ძირძველ ქართულ მინა-წყალს გართმევენ და ამ დროს ეროვნული არმია კუდამოქმედი გამოვლის ბრძოლის ხაზიდან, როგორც ეს უკანასკნელ ხანს გალში მოხდა, მაშინ ასეთ ჯარს თავისი ჭეშმარიტი მოვალეობის შესრულების ძალა არ გააჩნია, ან ამის შემდგომ, კაცმა უნდა იფიქროს იგი, როგორც მწერალმა რეზო მიშველაძემ დაწერა ამას წინათ ჩვენს გაზეთში: „ნუ მათეკრებინებ მე, რომ ქართული ჯარი გჭირდება არა დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად და ნაძირალა სეპარატისტებთან საბრძოლველად, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გამოგონილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წლისთავს ზეიმობენ, არამედ ეს ჯარი თურმე გჭირდება შენი მონაპოვრის დასაცავად და ეს მონაპოვარი კი არის 1991-92 წლებში ზვიად გამსახურდიასთვის იარაღის ძალით წართმეული ძალაუფლება.“

ახლა, რაც შეეხება ბატონი ჭაბუას წარმოდგენას საქართვე-

ლოს ეკონომიკაზე, რომელზეც, თურმე მისი აზრით, ვერც მსოფლიო ფინანსური კრიზისები მოქმედებენ, ხოლო ინვესტორებმა და პოლიტიკოსებმა მოუხშირეს თურმე ჩვენთან ჩამოსვლას. ამ საკითხებზეც არსებობს სრულიად ჩამოყალიბებული განსხვავებული საფუძვლიანი შეხედულებები. მას შემდეგ, რაც ბეიკერმა და გენშერმა ხარკი მოისადეს შევარდნაძის წინაშე საბჭოთა იმპერიის დაქვევად უნებლიე მონაწილეობის გამო და საქართველოში 1992 წელს ენეგენენ შევარდნაძეს, რაღაც არ მასწენდება, რომ ბოლო ხანს „შევარდნაძის საქართველოში“ ჩამოსვლისათვის რიგი უდგათ მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელებს. ეგ კი არადა, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ნეთანი-აჰუმაც კი ბოლო მომენტში უარი განაცხადა, ვინ იცის, რა გზებით ჩაწყობილ საქართველოში ვიზიტზე.

ქართული ეკონომიკის სავალალო მდგომარეობაზე კი ყველაზე უკეთ მეტყველებს ნახევარი წლის გაუტყემელი ისედაც სამარცხვინოდ მცირე პენსიები და ხელფასები.

რაც შეეხება ინვესტიციებს, მოქალაქთა კავშირი თავის საარჩევნო სარეკლამო ფურცელში ამაცობს, რომ 1998 წელს 134



მლნ დოლარის ინვესტიციები შემოვიდაო ქვეყანაში. მოქავე-შირელები იმას კი არ იუწყებიან, რომ ბალტიის რესპუბლიკებში, ზოგიერთ შუა აზიის რესპუბლიკაში და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ყოველწლიურად მრავალი მილიარდი ინვესტიცია შედის თითოეულ მათგანში, ხოლო 134 მილიონ დოლარს დღეს საქველმოქმედო ღონისძიებაში ხარჯავს ზოგიერთი ამერიკელი ან ევროპელი მილიარდერი.


ეკონომიკაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ განჩრებული მრეწველობა და მილიონობით უმუშევარი ნათელი დადასტურება ხელისუფლების დამლუპველი ეკონომიკური პოლიტიკისა. მაშინ, როცა ამერიკაში, კანადაში, ნორვეგიაში, ავსტრიაში, ისლანდიაში, ბელგიაში და სხვა სავალ ქვეყანაში ერთობლივი შიდა პროდუქციის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე მერყეობს 17-დან 26 ათას დოლარამდე, საქართველოში ეს მაჩვენებელი 1500 დოლარს არ აჭარბებს. როცა ოთხსულიან ოჯახს, რომელსაც აქვს 13 ათას დოლარზე ნაკლები წლიური შემოსავალი, ნორმალურ ქვეყნებში სიღარიბეში მყოფად მოიხსენიებენ, ხოლო ასეთთა რიცხვს საერთო მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი შეადგენს, რაღა უნდა ითქვას ქართულ ოჯახებზე, რომელთა დიდი უმრავლესობა წლიურად 1500-2000 დოლარ შემოსავალს ნატრობს? და ეს იმ ქვეყნის მოსახლეობაზეა ლაპარაკი, რომლის ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალი, გეოგრაფიული მდებარეობა, წიაღისეული და სხვა პლიუსები, მრავალ, ჩვენზე ბევრად უკეთესად მაცხოვრებელი ქვეყნისათვის სანატრელია.

რაც შეეხება პრესის გამოლტვას და ქვეყნის წინსვლის პროცესის შეფერხებლად გამოყვანას, რასაც ბატონი ჭაბუა კა-

დრულობს, ეს მისი რანგის მწერალს მართლაც არ ეკადრება. კიდევ კარგი, დემოკრატიის პრინციპებს იზიარებს ბატონი ჭაბუა, თორემ ბრალდება თავისუფალ პრესაზე ჩამოყალიბებული აქვს, იგი თურმე (პრესა) „მერყევ“ მოქალაქეს სახელმწიფოსთვის მანვე ზნეობრივ-პოლიტიკურ ორიენტაციას კარნახობს.“ ნათქვამია, რამდენი კაც-იცაა, იმდენი აზრიანო, ჰოდა, იმ მერყევ მოქალაქეს ნუ მოვახვევთ თავზე ერთადერთ, ჭეშმარიტების პრეტენზიის მქონე აზრს. იკითხოს და წეროს კაცმა თავისუფალ პრესაში სხვადასხვა აზრი, იაზროვნოს, იფიქროს და თავად ჩამოიყალიბოს საკუთარი შეხედულება. დემოკრატიაზე უკეთესი ხომ ჯერ არავის გამოუგონებია, იგი თავისუფალი აზროვნებისა და მოქმედების უფლებაა, რომელსაც პროგრესი და სიკეთე მოაქვს. ჰოდა, ნუ შევლახავთ ამ უფლებას. და ბოლოს, ყურადღება მინდა გავამახვილო ბატონი ჭაბუას მიერ წამოჭრილ ერთ საჭიროებოტო საკითხზე, რომელიც თავისი მნიშვნელობით არცერთ ზემოთ მოხილულ საკითხს არ ჩამოუვარდება. ეს არის თემა, თუ რა

თვისებები უნდა ჰქონდეს ქვეყნის პრეზიდენტს და მოიქცებება თუ არა საქართველოში პრეზიდენტობის მოვალეობის მტვირთველი, გარდა ედუარდ შევარდნაძისა. ბატონი ჭაბუას მიაჩნია, რომ პრეზიდენტი „სულ ცოტა, რიგანი გარეგნობისა უნდა იყოს“, „დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდეს.“ „მართვის სკოლა უნდა ჰქონდეს გავლილი და დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი უნდა სარგებლობდეს“. ამ თვისებების მატარებლად, იგულისხმება, რომ ბატონი ჭაბუა მხოლოდ შევარდნაძეს მიიჩნევს და ექსპერტების ჩატარებას მიზანშეუწონლად თვლის.

„ქუჩიდან თუ ტრობუნდის მოსული კაცი წინამორბედზე უკეთ თუ არა, იმავე ხარისხით მაინც შესარულებს სახელმწიფოს პირველი პირის მოვალეობებსა და საქმეს?! ესეც ნუ იქნება, რა ხეირს მოიტანს ერთი კაცის




გამგისა და ძალისხმევით დანეყებული შენობის აგების გაგრძელება სანაინალმდეგო შეხედულების კაცის მიერ“ — რიტორიკულ შეკითხვებს სვამს ბატონი ჭაბუა. შემდგომ პრეზიდენტობის პრეტენდენტებს შემოწმებული და სახალხოდ მოწონებული პროგრამის უქონლობას უწუნებს და ყოველივე ამის პასუხს მკითხველის გონებასა და სინდისზე აგდებს, თუმცა, სულ შემძვრელად ამბობს: „სამოგონებით მოვისმენდი ან წავიკითხავდი ზემოთმოყვანილ მოსაზრებათა მიუკერძოებელ კრი-

ტიკასო.“ ამ ბოლო ფრაზიდან გამომდინარე ვებედავთ გონებისა და სინდისის კარნახით ბატონი ჭაბუას მოსაზრებათა „მიუკერძოებელ კრიტიკას.“ უპირველესად უნდა აღვნიშნო და იმედი, ბატონი ჭაბუაზე დამეთანხმება, რომ ქართველთა რასა ბუნე-



ბრვიად არის გამოჩრეული რიგანი გარეგნობით, ხოლო მისი დახვეწილი მანერები აღიარებულია, როგორც აკადემიურ არტისტიზმად აყვანილი. ასე, რომ ის, რაც ქართველთა საყოველთაო თვისებაა, პრეზიდენტობის პრეტენდენტთა უმრავლესობასაც ექნება. რაც შეეხება დიდ საერთაშორისო ავტორიტეტს, რაც პრეზიდენტობის კანდიდატს თუ არ გააჩნია, ბატონი ჭაბუა დიდ მინუსად უთვლის, პირდაპირ ვიტყვი, ნეტავ სულ არ გააჩნდეს ჩვენს პრეზიდენტს ეს ყბადაღებული საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც, სხვათა შორის, არა საქართველოს წარმატებით მართვისათვის მოიპოვა, არამედ, იმ ქვეყნის დაქვევებისათვის, რომლის ერთ-ერთი მმართველი თვითონაც იყო. ჩემთვის, მაგალითად, უდავოა, რომ გორბაჩოვსა და მის თანამებრძოლებს თავიანთი უნიჭოდ განხორციელებული რეფორმებით ხელში შემოვრებათ საბჭოთა იმპერია ისევე, როგორც ელცინს თავზე ენგრევა რუსეთის ფედერაცია. სხვა საკითხია, რომ ბოროტების იმპერიის დანგრევა ცივილიზებულმა სამყარომ სასიკეთო საქმედ აღიქვა, ხოლო მისი გმირები, ერთი ზღაპრის პერსონაჟი კურდღლისა არ იყოს, რომელმაც ერთმანეთის დამხოცავი ლომისა და ვეფხვის მოკვლა ოსტატურად დაიბრაღა, დიდი სიკეთის მქონელებად აღიარა. ჰოდა, ამგვარი უნებლიედ მოპოვებული ავტორიტეტის ქონას, სჯობდა საქართველოს პრეზიდენტს დიდება და სახელი მოეხვეჭა თავისი მშობლიური ქვეყნისათვის გამარჯვების მოპოვებით, გამში მტვრების განადგურებით, ერის ჭეშმარიტი გაერთიანებით, მთელს



ერზე მზრუნველობით და არა მათიზოური კლანებისათვის სათბურის პიროვნების შექმნით. ილია ჭავჭავაძე ერთგან წერს: „გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონვა და არა ხორცისაო“. სწორედ ეს სულის ღონვა აკლია ჩვენს პრეზიდენტს და აქედან გამომდინარე, მთელ ერსაც, რადგან იგი თავის ხელმძღვანელში ვერ ხედავს გმირს, რომელსაც სახელმწიფოსთან გააიგივებდა და მისი გულისათვის თავს დადებდა, რადგან მაშინ სახელმწიფოსა და ერის ფუნქციას გაითავისებდა, ანუ ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვით რომ ვთქვათ, გაიმეორებდა. რაც შეეხება გამოთქმულ აზრს, რომ ხეირის მომტანი არ გაგრძელება მეშვიდე გვერდზე

ალექსანდრე ავდალაქი

„შუმანიუსის წამები“ და სომეხთა მეცნიერება

დასასრული. დასაწყისი „საქართველო“ № 67

პ. მურადიანი აცხადებს: შუმანიუსი „ეკლერში ლეონისაჟორების ენას უპირატესად სომხური წარმოადგენდა“ (გვ. 181). ეს განცხადება უსაფუძვლოა. შუმანიუსი მოძღვარი ქართველი იაკობი იყო და არა რომელიმე სომეხი სასულიერო პირი. გარდა იმისა, რომ შუმანიუსი პატიმრობის, ტანჯვის, გვემის წლებში იაკობი მასთან ყველაზე მეტად დაახლოებული პირია, ქართული ეკლესიის თავკაცები, მოუხდავად ვარსკენ პიტიაშის მიერ შექმნილი დაბრკოლებებისა, ახერხებენ ყურადღების გამორჩენას, მზრუნველობას შუმანიუსადმი. შუმანიუსის გარდაცვალების შემდეგ მალე ვახტანგ გორგასალმა ვარსკენ პიტიაშში მოაკვლევინა, რაც იმის მომასწავებელია, რომ ქართლის სამეფოს, მეფე ვახტანგ გორგასალის გავლენა ქვემო ქართლის საპატრიარქოში მკვეთრად გაიზარდა. ეგვიპტის ითქმის ქართული ეკლესიის, მცხეთის საკათოლიკოსოს გავლენაზეც საპატრიარქოში. ასეთ ვითარებაში ქართული ეკლესია, ქართლის სამეფო კარი როგორ დაუშვებდა, თუნდაც მხოლოდ შუმანიუსის ეკლერში, სომხური ენის ქართულთან შედარებით უპირატესობა მიიჩნეობდა. ვახტანგ გორგასალი და მისი თანამოსაგრეები ერთგულ სახელმწიფოს ამხედრდნენ და არა ინტერნაციონალურს. გორგასალის მიერ საეკლესიო რეფორმის ჩატარებაც, განხორციელებაც, კათოლიკოსობის შემოღებაც ამის დასტურია. საერთოდ, ცურტაშის სამწყსოში უპირატესობა ქართული ეკლესია და სომხურთან შედარებით (იხ. ეპისტოლითა წიგნი, 051).

პ. მურადიანის სიტყვით, „ადრე შუა საუკუნეთა კავკასიის კულტურული ცხოვრების შესწავლისას, მეტადრე სამი ხალხის, სომხების, ქართველთა და ალბანელთა მწერლობის ისტორიის საკითხების განხილვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ქრისტიანული ცივილიზაციის გავრცელების საქმეში მისი საშუალებელი როლი“ (გვ. 184). „სამართლიანი იქნება სომხეთის პოლიტიკური და კულტურული ადგილი კავკასიაში ასე განისაზღვროს: primus inter pares — „თანასწორთა შორის პირველი“ (გვ. 186). ჩვეულებრივად ამ ლათინურ გამოთქმას ასე თარგმნიან: „პირველი თანასწორთა შორის“. შესაძლოა, პ. მურადიანმა სიტყვა „პირველი“ ბოლოში იმით გავაძლიანა, რომ ამით უფრო მეტად გაესვა ხაზი სომხეთის პირველობისთვის კავკასიაში. ისიც სათქმელია, რომ კავკასია ამჟამად იერკავკასიის გარდა ჩრდილო კავკასიასაც გულისხმობს. იქ კი სომხეთის გავლენა თითქმის არასოდეს ყოფილა, მაშინ როდესაც მომიჯნავე საქართველოს გავლენა თითქმის ყოველთვის დიდ იყო. ამასთანავე, პ. მურადიანის ბოლოს მოტანილი სიტყვებში ადრე შუა საუკუნეები ნახსენები აღარაა. როგორც ჩანს, პ. მურადიანი დარწმუნებულია სომხეთის პირველობაში უფლებსი დროიდან დღემდე. თუნდაც მარტო ადრე შუა საუკუნეები ავიღოთ (თუმცა როცა სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობას უსვამს ხაზს. პ. მურადიანი, აქ სომ იგულისხმება რომ ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობა სომხეთს პატივად ძვ. წ. II საუკუნიდან მაინც), იმდროინდელი ქართული კულტურა სომ ციდან არ ჩამოვარდნილა, მისი ფესვები სომ შორეულ წარსულშია საძიებელი. როდესაც ძველ კოლხეთში ქართულმა კულტურამ განხეთქების მაღალ დონეს მიაღწია, ე. ი. დაახლ. ძვ. წ. II-III ათასწლეულების მიჯნაზე, იმ საუკუნეებში კავკასიაში სომხთა მკვიდრობის დამტკიცება სომ დიდ სირთულეებს აწყდებოდა. ყოველ შემთხვევაში იმ ეპოქებში კავკასიაში ქართული, კოლხური მაღალგანვითარებული კულტურის არსებობა ფაქტია, სომხური მაღალგანვითარებული კულტურის არსებობა კი არაფერით არ მტკიცდება. რაც შეეხება სომხეთის პირველობაზე ლაპარაკს უძველესი დროიდან თუნდაც ძვ. წ. V საუკუნემდე, ეს ისტორიის სრული გაყალბებაა. ისე უნდა ვავსენოთ დიოხორის, კოლხეთის, სასპერების უძველესი ქართული სახელმწიფოები, როცა სომხური სახელმწიფო კავკასიაში ჯერ არ იყო. შემდეგ მოდის ფარნავაზის ეპოქა. თუ პ. მურადიანი იზიარებს იმ აზრს, რომ ფარნავაზი ლეგენდარული ან ნახევრად ლეგენდარული მეფეა, დღეს ეს აზრი საფუძვლიანადაა უკუდგებული. სტრაბონ-

ნის ცნობით, ძვ. წ. II-ის დასაწყისში სომხეთა მეფეებს არაერთი ქართული მხარე, სპერია, ტაო, გოგარენე და სხვები მოუტაცებიათ. მაშასადამე, ეს მხარეები ქართლის, იბერიის სამეფოს შემადგენლობაში ყოფილა ძვ. წ. II საუკუნისათვის. ამდენად, ძვ. წ. III ს-ში, ე. ი. სწორედ ფარნავაზის და მისი მემკვიდრეების მეფობის დროს ქართლის სამეფო ძლიერი, ვრცელი სახელმწიფო ყოფილა. ქართლის სამეფო სომ დიდ ძლიერებას მიაღწია ძვ. წ. II საუკუნეებში, როდესაც ქართველთა მეფეები მთელი სომხეთის დაუფლებასაც ცდილობდნენ. ძლიერი ჩანს ქართლის სამეფო პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის ზეობის დროსაც, მით უფრო, ვახტანგ გორგასალის ხანაში, რომელიც ასევე ცდილობდა სომხეთი თავის გავლენის ქვეშ მოექცია. ასე რომ, იმ უძველეს ხანებში, შესაძლოა, სომხეთი ზოგჯერ იყო საქართველოზე ძლიერი პოლიტიკურად, მაგრამ ზოგჯერ პირიქით ხდებოდა. ამდენად, სომხეთის პოლიტიკური უპირატესობაზე საუბარი საერთოდ, თუნდაც მარტო ქართლის სამეფოსთან შედარებით, უსაფუძვლოა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველო ზღვისპირა ქვეყანაა. ეს მას უპირატესობას ანიჭებდა სომხეთთან შედარებით იმ უძველეს ხანებშიც. საქართველოს ამის გამოც შეეძლო გარესამყაროსთან კავშირი სომხეთის გარეშე. ქრისტიანობის გავრცელების საქმეში პირველ საუკუნეებში უნდა აღინიშნოს საქართველოს ებრაული თემის როლიც, რამდენადაც თავდაპირველად ქრისტიანობა იუდაიზმის წიაღში ჩასახა.

აქვე ორიოდ სიტყვით უნდა ითქვას, პ. მურადიანის აკვირებულ შეხედულებაზეც იმის შესახებ, რომ ქართული დამწერლობა, თითქმის მესრობ-მამტოცის შექმნილია. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ხაზგასმით აღინიშნა (კერძოდ, ე. გამყრელიძის მიერ), რომ ვინაიდან მამტოცმა არ იცოდა ქართული ენა (ამას მამტოცის ბიოგრაფი კორონი აღნიშნავს), იგი ვერასვლით ვერ შეძლებდა ქართული დამწერლობის შექმნას. დამწერლობის შექმნა რთული ლინგვისტური პროცესია და სათანადო ენის, მისი ბუნების ღრმა ცოდნის გარეშე ამგვარი რამ გამორიცხვულია. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ არაერთი მეცნიერის მხატვრული, ქართული ანაზანი მამტოცის ხანაზე გავცვილები ადრეა შექმნილი. პ. მურადიანი კი უნდა გვითხრას, რომ რაკი ქართული დამწერლობა მამტოცის შექმნილია, არც ის უნდა გაგვიკვირდეთ, თუ „შუმანიუსის წამები“ პირველად სომხურად დაიწერა.

პ. მურადიანის თანახმად, „იერუსალიმის ზეთისხილის მთის სიძველეების გათხრების დროს გამოვლენილი იქნა V-VI საუკუნეების დათარიღებული (მეკლეგარათავან — ა. ა.) სომხური მოზაიკური წარწერები და საფლავების წარწერები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნიშში მდებარე საფლავის ქვები, რომელთა ზედა ნაწილებში არის მოზაიკური წარწერები: ჩოჯიკი, შუმანი, მარინ ვარაუდობენ, რომ მოხსენიებული პირები მონასტრის მშენებლობის მფარველი სამთავრო სახლის წევრები (დამოწმებულია Kevork Hintlian, History of the Armenians in the Holy Land, Jerusalem, 1989, გვ. 13 — ა. ა.). პირველწარწერებიდან უცნობია V-VI საუკუნეების სხვა სამთავრო ოჯახი, გარდა გუგარკის პიტიაშებისა, რომლის წევრებსაც ერთდროულად რქმეოდა ჩოჯიკი (= ჯოჯიკი) და შუმანი. თუ საფლავები სიმორტურია ან მხოლოდ ნაწილების შემცველი, მაშინ სირთულეს ვეღარ ვხედავთ ამ სახელების ქვეშ ვივარაუდოთ მარტვილობიდან ცნობილი შუმანი და ჯოჯიკი (მარინი შუმანიკიანი ერთად პურისკაშის დროს მგვდომი მახლისციოლი თუ შუმანიკის ერთადერთი ასული?). ყოველ შემთხვევაში, საუკუნოვანი ტრადიცია აქ შუმანიკის (გარდენის) ყოფნას დასტურებს“ (გვ. 186). აქ სეკოლოში არის შენიშვნა: „არსებობს აკრეფილი სხვა წარწერაც, რომელშიც იხსენიება შუმანის სახელი: ესაა განსასვენებელი სანატორიო შუმანიკისა, არტავანის დედისა. პორის (ძველი სომხური კალენდრის მეორე თვის სახელწოდება — ა. ა.). 18“ (დამოწმებულია კ. პინტლიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 13).

თუ პ. მურადიანს იმის თქმა უნდა, რომ ქვემო ქართლის პიტიაშში სომხები იყვნენ, რის შესახებაც მინიშნებები პ. მუ-

რადიანის წიგნში სხვაგანაც მოიპოვება, მაშინ სახსებოთ გაუგებარი რჩება ვარსკენ პიტიაშის საქციელი, როდესაც ის შუმანიკს თესლ-ტომს ავიწმინდა. პ. მურადიანის მიერ მოხმობილი სომხურ წარწერებში მოხსენიებული ჩოჯიკი და შუმანიკიც ვერ იქნებიან „შუმანიკის წამებისული“ ჯოჯიკი და შუმანიკი. თავი რომ დავენებოთ სახელთა გარკვეულ ცვლილებას, განა შეიძლება წმინდანი და ჩვეულებრივი მოკვდევები ერთად დაესაფლავებინათ; ან ეს არტავანი ვინ იყო ისეთი, რომ წმინდანის გვერდით ესხენებინათ საფლავის ქვაზე? შუმანიკს სომ თხილი შეილი ჰყავდა და თუ ერთი გაუგებრობის არსებობას დაეფუძვებოთ, ოთხი შეილიდან მხოლოდ ერთის მოხსენიება საფლავის ქვაზე მორე გაუგებრობა იქნებოდა. მოტანილი წარწერაში მოხსენიებული შუმანიკის, უფველია, ერთი ვაჟი ჰყავდა და სწორედ ისაა ნახსენები საფლავის ქვაზე, ხოლო ჩვენს წმინდანს, შუმანიკს, როგორც ცნობილია, სამი ვაჟი ჰყოლია. ცნობილია ისიც, რომ შუმანიკის ოთხივე შეილი გაამზადნა. არავითარი ცნობა იმის თაობაზე, რომ ისინი კვლავ ქრისტიანობას დაბრუნებულდნენ, არ არსებობს. ამის გამოც წმინდა შუმანიკის საფლავის ქვაზე მისი ვაჟის სახელს არ მოიხსენიებდნენ. საქართველოსა და სომხეთში ფართოდ იყო გავრცელებული სახელი შუმანი, შუმანიკი. პ. მურადიანის მიერ მოხმობილი წარწერებში უფროდ სხვა პიროვნება იხსენიება და არა ჩვენი წმინდანი.

მართალია, სათანადო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლად და ნაიჭებურად, რომ „შუმანიკის წამები“ პირველად ქართულ ენაზე დაიწერა და შემდგომში ითარგმნა სომხურად, მაგრამ რადგან არმენოლოგიაში ეს დებულება დღემდე გაზიარებული არაა და ხშირად სასიყვედურად დაბალმდებლად შეხედულების მტკიცებას ცდილობენ, კვლევა-ძიება ამ მიმართულებით ქართველმა მეცნიერებმა კვლავ უნდა განაგრძონ. ამის გამო თავს უფლებას მივიძე ერთ გარემოებაზე ვგადავიხილო ყურადღება. როგორც ითქვა, გოგარენე, ქვემო ქართული საუკუნეთა განმავლობაში ხელ-იდან ხელში გადადიოდა ქართველებსა და სომხებს შორის. ამავე დროს აშკარაა და ამის თაობაზე სტრამონიც გვაუწყებს, რომ ეს მხარე ძირითად ქართულია და პირველად მას სომხეთმა მეფე ძვ. წ. II ს-ში დაიუფლა. როგორც ა. მანიძე აღნიშნავდა, „გოგარენე“ სუფიქსი — არ ზანური და სადაურობის აღნიშვნელია, — ულ სუფიქ-

სის შესატყვისია. პირველწარწერებში დასტურდება, რომ ქართველი ერთი დაკარგული მიწების დასაბრუნებლად საუკუნეების განმავლობაში მიზანდასახულად თუ მიზანმიმართულად იბრძოდა. მას შემდეგ, რაც გოგარენე, ქვემო ქართლი, ვინ იცის, მერამდნელ დაიბრუნეს ქართველებმა IV ს-ის მეორე ნახევარში, აშკარა ვახდა, რომ აქაური პიტიაშები დამოუკიდებლობისკენ მისწრაფვოდნენ, არ უნდოდათ ფაქტობრივად დაქვემდებარებულნი ქართლის, იბერიის მეფეებს. ცხადია, ეს მიუღებელი იქნებოდა როგორც ქართველთა მეფეებისთვის, ისე ქართველი ერის მოწინავე, მგნებელი ნაწილისთვისაც, ქართველი პატრიოტებისთვის მით უფრო ვერ შეუიძლებოდა ამგვარ მდგომარეობას საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული მეფე ვახტანგ გორგასალი. გორგასალის ძლევა მოსილებმა რომ შეიხსული არ არის, ამაზე მიგვანიშნებს ერთი გარემოება. ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში პირველ ქრისტიან მეფეს აშკარად განადიდებდნენ. საქართველოში კი მირიანის სახელი დარჩილა დასალოებით ერთი საუკუნით გვიან მიღებულ გორგასალმა. ეს იმით მოხდა, რომ გორგასალი მართლაც განსაკუთრებული მოვლენა ყოფილა საქართველოს ისტორიაში. სხვას რომ თავი დავენებოთ, გორგასალის სახელთანავე დაკავშირებული ქვემო ქართლის საპიტიაშის შემოხტევიცა იბერიის სამეფოსთან.

ქართლის სამეფო კარს გორგასალის მემკობის დამაჯერებლად მიზნად დასახული, რომ ქვემო ქართლის საპიტიაშში ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ რიგთ საერისთავოდ ქცევა. ეს მიუღებელი იყო ირანისთვისაც და ვარსკენ პიტიაშისთვისაც. ამან განაპირობა ვარსკენის გამამდიანება, თითქმის, ნებაყოფლობით. ვარსკენი ირანის დამარცხებით, მფარველობით აპირებდა ვახტანგ გორგასალისაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო. ირანის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა ვახტანგ გორგასალისთვის და მისი თანამოსაგრეებისთვისაც ძალიან ძნელი იყო. ამიტომ ისინი შეეცდებოდნენ ქვემო ქართლის ვრცელ, ძლიერ საპიტიაშში აშკარა თუ არა, ფართული მფარველობა გაეწიათ ყველა იმ დასახლებულს, რომელიც უკმაყოფილო იყვნენ ვარსკენ პიტიაშის პოლიტიკისა. ასეთ ვითარებაში ქართლის სამეფო კარი და მცხეთის საკათოლიკოსო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდნენ პიტიაშის ოჯახში

წარმოქმნილ კონფლიქტსაც. ვარსკენისა და შუმანიკის დაპირისპირებას „შუმანიკის წამები“ ჩანს კიდევ, რომ ქართული ეკლესიის საჭედიპრობელნი ყურადღებას იჩინებდნენ შუმანიკის მიმართ იმ წლებში, როდესაც მას საპატრიარქო აწამებდნენ. სომხური ეკლესიის თავკაცების მხრიდან კი მსგავსი არაფერი ჩანს. აქედან გამომდინარე, „შუმანიკის წამების“ დაწერა 475-482 წლებში, როდესაც ვახტანგ გორგასალის პოლიტიკური, იდეური მოწინააღმდეგე, ქართული, არც თუ ისე საზღვრებგან-ვრცობილ სახელმწიფოში საკუთარი სახელმწიფოს შექმნის მოსურნე, ვარსკენ პიტიაშში ცოცხალი იყო, ძალზე აქტუალური საკითხი იქნებოდა ქართლის სამეფოს პოლიტიკური წრეებისათვის. ამით მათ გაუადვილებოდათ ბრძოლა ვარსკენ პიტიაშისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. რაკი ეს მათ, „შუმანიკის წამები“ 475-482 წლებში ქართულ ენაზე უფველად დაიწერებოდა. სომხურად კი მის დაწერა იგივე წლებში, შუმანიკის გარდაცვალებისთანავე, აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან ეს საკითხი იმ დროს სომხეთში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისევე აქტუალური, როგორც საქართველოში. ერთი სიტყვით, „შუმანიკის წამები“ პირველად ქართულად რომ დაიწერა, ამის დასადგენად მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ ვარსკენის მკვლელობა გორგასალმა მოაწყო და არა რომელიმე სომეხმა ნახარამ. ეს მკვლელობა კი, ისევე როგორც ანტი-ირანული აჯანყება, მრავალი წლის განმავლობაში მზადდებოდა. ნიშანდობლივია, რომ სომეხი ლაზარ ფარევიკის „ისტორიაში“, რომელშიც საკმაოდ საუბარი V საუკუნის მეორე ნახევრის ქვემო ქართლის საპიტიაშში, შუმანიკის მამისეულ ოჯახზე, მის მასლობლებზე (გაიხსენოთ, რომ ლაზარევიკის თქმით ქართლის საპიტიაშში ცხოვრობდა თავის მფარველ მამიკონიანთან ერთად და „ისტორია“ შუმანიკის ბიძაშვილის, ვაჟან მამიკონიანის დაკვეთით დაწერა), შუმანიკი საერთოდ არ იხსენიება.

სომხეთში მეფობა 428 წელს გააუქმა ირანის იმპერიამ. ვახტანგ გორგასალი მთელი კავკასიის, კერძოდ, ამიერკავკასიის დარჩენილ ცდილობდა ირანულა ბატონობის მოსასხობად. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ვახტანგი შეეცდებოდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია სომხეთი, რომელმაც

გაგრძელება მეორე გვერდზე

„ფრიად გვესიამოვნა“... ანუ ორიოდ სიტყვა ბ-ნ ს. ქოხლიას გასაზრუნად

ალბათ, თბილისელ ჯონათან სვიფტის მოყვარულს, რომელმაც რუსთაველზე კავებს „სვიფტის სწრაფი ბარბე ქე“ დაარქვა, ვარაუდ ვადა მოეხსენება ლილიპუტების დედაქალაქ ლინდინში ატვიხილი სამოცდაათიანი ომის შესახებ დაბალტუსელიან პარტია ტრამეკსანს და მაღალტუსელიანთა პარტია-სლამეკსანს შორის იმხანე, თუ ვის უნდა ემართა ქვეყანა. არანაკლები ომი ატყდა თბილისში გამართულ წინასაარჩევნო მარათონზე პარტიების შორის, თუ რომელი პარტია უფრო მაღლა გააკრავდა საარჩევნო რეკლამას. ქალაქი ორად გაიყო — პლაკატების გამკვერვებად და ამხევე ბად!

ზოგიერთი პლაკატი იმ სიმაღლეზე იყო გაკრული, შვეულმფრენით უნდა აფრენილიყავ, რომ ნაგვიტობა. ეს ხომ გაცივება იწვევდა, მაგრამ არანაკლებ გაკვირვებას იწვევდა პლაკატის ამხევე სიმაღლე.

ამ გამართულ ბრძოლა-ჭიდილში, ცრუ დაპირებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნათლად გამოიხატებოდა ჩვენი მაღალი ნიჭიერება: ერთი და იგივე პლაკატი ზოგიერთი სახლის კედელზე ოთხსაჯერ და ხუთსაჯერაც იყო გაკრული.

ბევრმა პარტიამ მაინც ვერ მოახერხა ბოლომდე გაეხსნა თავისი შესაძლებლობანი და მრავალი სობრძნე ქალაქის რულონებში ჩამარხული დარჩა!

უხელფასობით, უცნისობით და შიმშილით დაოსებული ხალხი მშვიდად უყურებდა უაზრო ფულის ხარჯვას იმ ლიდერებისა-

გან, რომლებიც ქვეყნის აზრიან მოწყობას იქადნიდნენ. ... ერთ დილას მოულოდნელად უცხოპლანეტელები ესტუმრნენ თბილისს და პი-პლანეტაზე გადასცეს ექსპორტაჟი.

ეს და ზოგიერთი სხვა რამ აღწერე ველებტონში „იძულებით დაშვება“ და გამოვქვეყნე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (22-23 ნოემბერი, 1998წ.), მაგრამ მწარედ ვინანე ვახეთის მორიგე რედაქტორს, ბ-ნ ს. ქოხლიას არ მოსონებია უცხოპლანეტელების რეპორტაჟიდან ასეთი ინტერპრეტაცია: „ეგვიერთვლა ტრანსპარანტად დაბოლოდ თბილისს სიცილისაგან ჩამოხრებულნი ლეონი და კუბოვიჩი და მისი მეგობრები ეკითხებიან: „ჩვენ გვიყვარს „უშმა“... თქვენ? ნაუშლია და ნაშლის დამშლელი რომ არავინ იყო, სან-იმუშოდ ჩაუხრებია: ვნახეთ ულ-რესად გახარებულნი, ოღონდ არაყის „უშმის“ სარეკლამო ტრანსპარანტზე, „უშმა“ მართლაც კარგია. გავსინჯეთ, ფრად გვესიამოვნა, კიდევ გავსინჯავთ და მან-დაც ამოვიკლან“. ვითომ ბრძანებდნენ უცხოპლანეტელები.

საიდან სადაო, წმინდა საბაო! მე კი უნდა გითხრათ, ეს ტრანსპარანტები უცხოპლანეტელებს რომ ცრუდ მოაწონებინეთ და არაყის კარგა საარჩევნო რეკლამაც გააკეთეთ — უგემონობის და უაზრობის ნიშნებია და არაფერო განსხვავდება თბილისში გაფრცულეული მსგავსი უგემონო რეკლამებისაგან.

დავიწყეთ ტრანსპარანტზე დახატული უაზროდ გაცინებული, თვალმდაჭყეტელი სახეებით (ამ

სტილს აქტიურად ნერგავს ფირმა „კოკა-კოლა“! ქალაქს თითქმის ყველა კუთხეში იხილეთ „გზარეული და გაფრენილი ამერიკელები“, ენაგადმოვადებული კალით თბილისელებს რომ ეკითხებიან, „ჩვენ გვიყვარს „უშმა“... თქვენ? (წინსკლები შეიძლება მწვერვალსაც ნიშნად და არაყისა). თუ მწვერვალს ნიშნად, დამეთანხმებით ულოგოკოა, თუ არაყის — უაზრობაა სიტყვა „გვეწვარს“. არაყი შეიძლება მოგწონდეს, მაგრამ თუ გვიყვარს — პათილოგიაა! და შეიძლება ტრანსპარანტი ასეთი სარეკლამო მონოდეობით დაეაქალაქში წამოტეხილიყო?

ნათუ ამ სარეკლამო ტრანსპარანტის ავტორები და მისი დამცველები ვერ ხედავნიან ამ რეკლამას არაყზე უფრო პოლიტიკის სურთ უდის?

აი, რამდენი დაკვირვება უნდა დაწეროს, ჩემო ბატონო, რომელსაც თქვენ დაუკვირებლად ხაზი გადაუხსიეთ!

ახლა, რაც შეეხება თქვენი ხელი ჩანერი, ვითომ გულშეგრევილი არაყ „უშმის“ რეკლამის გაპარებას.

საქმე საქმეზე რომ მიდგეს მსგავსი რამ კანონით ისჯება, მაგრამ კანონებს ვინ უყურებს — რეკლამა თავის ქტუხედ და-გრობალებს ჩვენს ქალაქში, კანონს კი არხინდა „კრებულში“ სძინავს.


ამ ფელეტონის ამგვარი დაბეჭდვის ფაქტმა დამარწმუნა, რომ უფრო ცუდად გექონია საქმე ვიდრე მეგონა!

გივი ბარუაშვილი

თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო (ისტორია და უკლებლივი)

(გაგრძელება, დასაწყისი „საქართველო“ - № 57, 62, 64, 66, 67)

კომუნისტურ რეჟიმში კი თბილისში, რუსთავეს და საქართველოს სხვა ქალაქებში თათარ-თურქმანი მოსახლეობა 365 დღე თავისუფლად ყოფიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტის, ხოლო ინგილო ქართველებს კი არ ჰქონდათ ეს უფლება, „სპეკულანტი სარო“ - მილიცია ვრცელდებოდა კახის, ზაქათალის, ბელქენისა და ალიბადის საკომუნისტრო ბაზრებშიდან ბოლო 40 წლის განმავლობაში



ში საქართველოს თათარი-თურქმანი მოსახლეობის 75 პროცენტზე მეტმა ოჯახმა აივნა თანამედროვე ტიპის 4,8 და 10 ოთახიანი სასახლეები, მშენებ, როდესაც ინგილო ქართველთა ოჯახების მხოლოდ ხუთმა პროცენტმა შესძლო ასეთი სახლის აშენება.

საქართველოში მცხოვრები თათარი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტმა ოჯახმა 1-დან 5 მსუბუქი ავტომობილის შეძენა შესძლო, ხოლო ინგილო ოჯახების მხოლოდ 3 პროცენტმა მოახერხა მხოლოდ 1 ავტომობილის ყიდვა, ისიც ძირითადად იმ ოჯახებმა, ვინც უღალატა თავისი ხალხის ეროვნული ინტერესებს, ე. ი. ვინც იბლისს (სატრანს) მიჰყავდა სული.

საქართველოში თათრებისათვის აზერბაიჯანული სკოლები არასოდეს ქართულ სკოლებად არ გადაკეთებიათ, სამაგიეროდ, 1922-1923 წლებში გახსნილი ქართული დაწყებითი სკოლები 1925-26 წელს ძირითადად მუსლიმური თემის ინგილოებს თურქულ სკოლებად გადაკეთეს 1938 წ. ინარში გახსნილი ქართული სკოლები 1941 წ. ნოემბერ-დეკემბერში ე. წ. აზერბაიჯანულ სკოლებად გადაკეთეს; 1944-1945 წლებში აღდგენილი ქართული სკოლები 1955-1957 წლებში უკვე ძალდატანების გზით, გადააკეთეს აზერბაიჯანულ სკოლებად.

1960-1961 წლებში აღდგენილი ქართული სკოლები ცოტა ხანში გაუთასირეს და შეურყენეს ალიბადის მხარისა და კახის რაიონის მაკმილიან ინგილოებს და ამავე სკოლებში დამატებით აზერბაიჯანული და რუსული სექტორებიც გახსნეს, ხოლო ქართულ სექტორებს მუდმივი ძირგამოთხრა - მტრობა გამოუცხადეს.

საქართველოს თათარ-თურქმენს არაფერია უფლებები, რატომ არა ხარ ქრისტიანი და რატომ მუსლიმანი, რატომ არ იცი ქართული ენა, 95-მა პროცენტმა თათარ-თურქმენმა, ქართული ენა საერთოდ არ იცის რატომ ქართულ სკოლაში არ სწავლობდი, რატომ თათრულად და მღერით, რატომ თათრულად და არა ქართულად ამბობ საქორწინო სუფრაზე სადღეგრძელოებს, რატომ ქართული გვარი არა გაქვს და გიყვრის არაბულ-სარსულ სხელებზე რუსულ დამოკლებიანი გვარი, რატომ გიყვრის ეროვნება „აზერბაიჯანელი“ და არა „გურჯისტანელი“ და მრავალი სხვა. ჩვენ, ინგილოებს, ყველაფერს ამას შეეზღუდა, უშიშროება და სხეები დიდი ხანია გვეუბნებიან.

საქართველოში თათარს 5-6 საზოგადოება დაურჩებია, ინგილოებმა უკვე ერთი ვერ დააარსეს, რადგან იცინა, რომ რეგისტრაციაში არ გაატარებენ და დევნასაც დაუსწავ

ბენ. მოსე ჯანაშვილის საზოგადოება არ გაატარეს რეგისტრაციაში (კახ-ში). ადგილობრივ და რაიონის ხელსუფლებამ ამის უფლება არ მოგვცეს, ხოლო სუკმა ნადირობა დაიწყო საინიციატივო ჯგუფის წევრებზე ალიბადში და სხვაგან.

ბოლოს ინგილოს ქორწილებში სიმღერისა და მშობლიურ ენაზე სადღეგრძელოს თქმის უფლებაც კი წაართვეს ჩიკიტებმა (მოსულში, ალიბადში).

სკოლების ქართულ სექტორებს აუკრძალეს ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტებისა და ქართული ისტორი-

ისტორიის ქართულ მოსახლეობას XX ს-ის 60-70-იანი წლებში. ისათვის მეტად უხეში მეთოდების გამოყენებით, საქართველოს კულტურისაგან მეტად მკაცრი იზოლაციის პირობებში ის, რაც წინა 200-მა წელმა ვერ გაუკეთა, გაუკეთებ 1918-1980-იან წლებში: წარმოებით მშობლიური ქართული ენა! ნუთუ არ გუხერხულხართ?!

3. - პირადად თქვენ, ბატონო ჰიდაიტი, ნუთუ არ გუხერხულხართ, როდესაც ალიბადიდან უცხადებთ: „აზერბაიჯანულ სკოლას თუ დამთავრებთ, მოდით ბაქოში, სადაც გინდათ იქ მოგაწყობთ უმაღლესეში“?

4. - ნუთუ არ გუხერხულხართ ალიბადში, მოსულში, ითი-თალაში და სხვა ქართულენოვან სოფლებშიც ინგილოებს ორ, სამ-სექტორიანი (ქართული, აზერბაიჯანული, რუსული) სკოლები და, ასევე მრავალსექტორიანი საბავშვო ბაღები რომ გაუხსენით. ბავშვობიდანვე მზამათ და ამასწინჯებთ თათრებს?

5. - შენ და შეხულისლამას არ გუხერხულხართ ალიბადში მაკმილიანებს ალიბადელი ქრისტიანების ამოსვლაზე რომ აქეზებდით 1996 წლის აპრილში ალიბადში?

6. - განა თქვენი კონსტიტუცია გაძლევთ იმის უფლებას, რომ დაამინით ქრისტიანები ამოხკით, ტყეები ქაროლოთ ქრისტიანებს, სამსახურებიდან დაითხოვთ ქრისტიანები და ქრისტიანობისათვის 15 დღით ჩასათა პოლიციაში და ქრისტიანთა ნათესავებს დაეპუქროთ „დედას გიტრიბოთ“, თუ გვენი, ე.ი. ქრისტიანები, მქეთში სიარულს არ დაიწყებთ.

7. - ალიბადის მხარის ინგილო-ქართველობა საქართველოსაგან 80-წლიან კულტურულ იზოლაციას თავს როდის დააღწევს?

8. - მშობლიურ ენაზე ერთ-სექტორიანი სკოლების და საბავშვო ბაღების ღირსი როდის იქნება ეს ხალხი?

9. - როდის მიეცემათ ინგილო მშობლებს, აღნიშნულ სოფლებში თავისი მშობლებისათვის იმ სახელების თავისუფლად დარქმევის უფლება, რომელიც თვითონ ამოირჩიან?

10. - როდის მიეცემა ალიბადის მხარის ინგილოს თავისი ისტორიული ქართული გვარის თავისუფლად აღდგენის უფლება. მოკლედ, ქართველობის აღდგენისათვის აქაურ ინგილოს როდის მოეხსენება საუკუნოვანი ზეწოლა და

ბა. ასევე თათრებმა ტომონიმ-პიდრონიმებიც: დაბა ალიბადის შუაზე ჭრის პატარა მდინარე, რომელსაც ხალხი „ქისქელის ხეც“ უწოდებს. დღეს ტომონიმადიულ რუკებზე „ჩილილი ჩაი“ ჰქვია მას! შვე წყალს, „ყარა ჩაი“, ხოლო მდ. ბატისანს „ბათან ჩაი“ შეარქვეს... და მრ. სხვა. მოკლედ, ყველაფრის გათათრება გრძელდება!

დასახლებების ქართულ მოსახლეობას XX ს-ის 60-70-იანი წლებში. ისათვის მეტად უხეში მეთოდების გამოყენებით, საქართველოს კულტურისაგან მეტად მკაცრი იზოლაციის პირობებში ის, რაც წინა 200-მა წელმა ვერ გაუკეთა, გაუკეთებ 1918-1980-იან წლებში: წარმოებით მშობლიური ქართული ენა! ნუთუ არ გუხერხულხართ?!

3. - პირადად თქვენ, ბატონო ჰიდაიტი, ნუთუ არ გუხერხულხართ, როდესაც ალიბადიდან უცხადებთ: „აზერბაიჯანულ სკოლას თუ დამთავრებთ, მოდით ბაქოში, სადაც გინდათ იქ მოგაწყობთ უმაღლესეში“?

4. - ნუთუ არ გუხერხულხართ ალიბადში, მოსულში, ითი-თალაში და სხვა ქართულენოვან სოფლებშიც ინგილოებს ორ, სამ-სექტორიანი (ქართული, აზერბაიჯანული, რუსული) სკოლები და, ასევე მრავალსექტორიანი საბავშვო ბაღები რომ გაუხსენით. ბავშვობიდანვე მზამათ და ამასწინჯებთ თათრებს?

5. - შენ და შეხულისლამას არ გუხერხულხართ ალიბადში მაკმილიანებს ალიბადელი ქრისტიანების ამოსვლაზე რომ აქეზებდით 1996 წლის აპრილში ალიბადში?


6. - განა თქვენი კონსტიტუცია გაძლევთ იმის უფლებას, რომ დაამინით ქრისტიანები ამოხკით, ტყეები ქაროლოთ ქრისტიანებს, სამსახურებიდან დაითხოვთ ქრისტიანები და ქრისტიანობისათვის 15 დღით ჩასათა პოლიციაში და ქრისტიანთა ნათესავებს დაეპუქროთ „დედას გიტრიბოთ“, თუ გვენი, ე.ი. ქრისტიანები, მქეთში სიარულს არ დაიწყებთ.

7. - ალიბადის მხარის ინგილო-ქართველობა საქართველოსაგან 80-წლიან კულტურულ იზოლაციას თავს როდის დააღწევს?

8. - მშობლიურ ენაზე ერთ-სექტორიანი სკოლების და საბავშვო ბაღების ღირსი როდის იქნება ეს ხალხი?

9. - როდის მიეცემათ ინგილო მშობლებს, აღნიშნულ სოფლებში თავისი მშობლებისათვის იმ სახელების თავისუფლად დარქმევის უფლება, რომელიც თვითონ ამოირჩიან?

10. - როდის მიეცემა ალიბადის მხარის ინგილოს თავისი ისტორიული ქართული გვარის თავისუფლად აღდგენის უფლება. მოკლედ, ქართველობის აღდგენისათვის აქაურ ინგილოს როდის მოეხსენება საუკუნოვანი ზეწოლა და



ბა. ასევე თათრებმა ტომონიმ-პიდრონიმებიც: დაბა ალიბადის შუაზე ჭრის პატარა მდინარე, რომელსაც ხალხი „ქისქელის ხეც“ უწოდებს. დღეს ტომონიმადიულ რუკებზე „ჩილილი ჩაი“ ჰქვია მას! შვე წყალს, „ყარა ჩაი“, ხოლო მდ. ბატისანს „ბათან ჩაი“ შეარქვეს... და მრ. სხვა. მოკლედ, ყველაფრის გათათრება გრძელდება!

„რანი შიყავით და რანი პართ ქართველები და რა გვმართებს წინაპრებისა და სამოქალაქო“, ანუ გამოხატულება მხარულ ჭაბუა აშირეჯიზის წერილზე

მესუთე გვერდიდან

იქნება, „ერთი კაცის გვე-მითა და ძალისხმევით დან-ყებული შენობის აგების გაგრძელება სანინალმდევი შეხედულების კაცის მიე-რო“, აქ ბატონ ჭაბუასთან ის განსხვავებული აზრი მაქვს, რომ იგი ხედავს რაღაც შენობის აგებას, ხოლო მე აგერ უკვე მე-7 წელიადაა ქვეყნის ნგრევისა და უნიჭო საკადრო ცვლილებების გარდა შე-ვარდანიძის ხელისუფლებ-ის მხრიდან სხვს ვერაფერს ვხედავ. შენობაზე თუ მიდგე-ვა საქმე, ვხედავ სრა-სახს-ლეებს ჩვენს ხელისუფალთა და მათთა ნათესავთა მიერ ნაშოქიმულს.

სწორედ ამიტომ სჭირდ-ება ქვეყანას თუნდაც ქუ-ჩიდან და ტრიბუნებიდან მოსული ახალი მეთაური, რომელიც უპირველესად ორი უღემენტარული თვისე-ბით უნდა იყოს გამორ-ჩეული - იყოს პატიოსანი და პატრიოტი და არა ყალ-ბად გაგებული ინტერნ-აციონალისტი, რომელიც არ იტყვის, რომ გუდაუთაში რომ შევსულიყავით, მაშინ აფხაზები ამოწყდებოდნენ და მერე ჩვენ ამას ვინ გვაპატიებდაო. შედეგად რომ აფხაზეთის ქართველო-ბის ამოწყვეტა და სრული გამოდევნა მივიღეთ, ეს კი ყოველი საპატიებელი.

რაც შეეხება მართვის სკოლის გავლას, თუნდაც აბანოს გამგის, როგორც ბატონი ჭაბუა ამბობს, ყველას თავის ცხოვრები-სელი სკოლა აქვს გავ-ლილი. ყოველ შემთხვევა-ში, მიიქნელობის, უზ-ნეობის, ქვეყნისა და კ-ცის გამყიდველობის, მარ-იონეტობის, კომპაგნირულ-კომპარტიული კარიერისტუ-ლი მართვის სკოლის გავ-ლა ქვეყნის სასიკეთოდ არ ადგება ამ სკოლის გამე-ლულ დღევანდელ ხელის-უფალთ და არც მათ ნამონაფართ. ხოლო შე-კითხვაზე: პრეზიდენტის სა-ვარძლის მწყურვალთგან რომელია ღირსეული, შემიძლია დიდი ჭკუის ჭყლეტის გარეშე ვუბასუო ბატონ ჭაბუას, რომ იმაზე უარესის მქმნელი, რომელ-იც დღეს გვეყავს, ძველი წარმოსადგენია, ხოლო ქვე-ნის ახალი მეთაური ამ გაუსაძლის ყოფასა და უ-ერსპექტივობაში, იმედს გააჩენს, იმედს, რომელსაც თუ ენერგად აქცევს კაცი და მიზანდასახულად მიმ-ართავს, მთებს ამოატრი-ალენიანებს ადამიანს.

საბედნიეროდ, საქართვე-ლოს, როგორც ყოველთვის, დღესაც ჰყავს ერის ღი-დერობისათვის მზად მყო-ვი ნიჭით, პატრიონებით და ქვეყნისათვის თავდადებით გამორჩეული პიროვნებები. ზოგიერთი მათგანის ეროვნული მრწამსი, და მ ა მ ო უ კ ი ე ბ ე ლ ი საქართველოსთვის მებრძო-ლი სული სკვთებდა ეროვნულ მოძრაობაში აქ-ტიური მოღვაწეობით გამ-ოინართო და დღესაც მარ-იონეტულ ხელისუფლე-ბასთან მძაფრ მოპოზიცია-ში ყოფნითაც კარგად ჩანს. მათ შეიძლება ენდოს და გაჰყვეს ქართველი ხალხი, ესენია: მამუკა გიორგაძე, გიორგი კობახიძე, ვანო ხუბუნევილი, თენგიზ შარ-მანაშვილი და სხვები, რომლებმაც საკმაოდ ძლიერი ეროვნული პოლი-ტიკური ორგანიზაცია შე-ქმნეს სახალხო პარტიის სახ-ელწოდებით. ამ პარტიის სახით შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოში არსებობს ქართველი ერის

ჭეშმარიტი იდეალებისათვის მებრძოლი პოლიტიკური ძალა, რომელიც თავის მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის უახლოეს მომავალში.

ამავე დროს, გამორჩეული მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა აკაკი ასათიანის შესახებ. იგი ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც არა მარტო ეროვნულ მოძრაობაში შეტანილი თავისი წვლილით ჩანს, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის სათავეებთან ხელმძღვანელ თანამდებობა-ზე იყო და მისი ხელმოწე-ვა ერთ-ერთი პირველი ამშვენებს 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებ-ლობის დეკლარაციას. მის მიერ შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია, საქართველოს ტრადიციონალისტთა კავ-შირი დღევანდელი ხელისუ-ფლებისათვის ყველაზე სა-შიში ორგანიზაციაა, რად-გან თავისი პროგრამითა

ლიდერების არჩევისას. ჩვენ, ქართველებს რა ღმერთი უნდა გაგვიწყნოს, რომ ღირსებით სავსე ახალგაზრ-და ლიდერებს ვამოვინო-თ ბოლომდე გამოშვლე-ბული ამჟამინდელი პრეზ-იდენტი, რომლის მოღვაწეო-ბის მწარე შედეგებს თი-თოეული პატიოსანი ქარვე-ლი იმკის.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მომავალ საპარლამენტო და საპრეზ-იდენტო არჩევნებს უნდა მიეცეს დიდგორის ომის მნიშვნელობა და აუცილე-ბელია ყველა ეროვნულ-პოლიტიკური ძალის გაერ-თიანება. ახალგაზრდა ლიდერებს გვერდზე უნდა დაუდგენენ გამოცდილი, ღვაწლმოსილი ეროვნული მოღვაწეები, ბატონები აკაკი ბაქრაძე და ნოდარ ნა-თაძე. უმჯობესი იქნება, თუ მოხდება ეროვნული ძალთა საყოველთაო შეერთება და ერთიანი ფრონტი ეროვნუ-ლი ხელისუფლების შექმ-



და იდეოლოგიით ქართუ-ლი, ეროვნული, ტრადი-ციული სახელმწიფოს შე-ქმნისათვის არის მოწოდე-ბული, რაც ძირშივე ენი-ნალმდეგება სახელისუფლო პარტიების მიზნებს.

აკაკი ასათიანს, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, ბევრს მატებს ისიც, რომ იგი მეტად გაბედული, უკომპრომისო, მიზანმიმართული და ამავე დროს ორგანიზაციული პიროვნებაა. მას ეროვნუ-ლად მოაზროვნე საზოგა-დოების მნიშვნელოვანი ნაწილი იმედის თვალით უყურებს, რაც არჩევნი-ბით დაჯილდოებული პიროვნებაა. მას ეროვნუ-ლად მოაზროვნე საზოგა-დოების მნიშვნელოვანი ნაწილი იმედის თვალით უყურებს, რაც არჩევნი-ბით დაჯილდოებული პიროვნებაა. მას ეროვნუ-ლად მოაზროვნე საზოგა-დოების მნიშვნელოვანი ნაწილი იმედის თვალით უყურებს, რაც არჩევნი-ბით დაჯილდოებული პიროვნებაა.

ნისათვის ბრძოლა. მხედ-ველობაში მყავს ის ზვი-დისტური ძალები, რომელთა პოტენცია დიდად წაადგე-ბა ქვეყნის გადარჩენისათვის გა ს ლ ი ლ ერთ თიან მოძრაობას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეროვნუ-ლად მოაზროვნე, ხალხში ავტორიტეტულსაზავი მწ-ერლები და საზოგადო მოღვაწეები თავიანთი სი-ტყეითა და კალმით დიდ მხარდაჭერას გაუწევენ ახ-ალი ტალღის ეროვნულ მოძრაობას. ეს ყველაფერი ქართველ ხალხში გააღ-ლობს ხელისუფლების ძალ-ისხმევით თავს მოხვედრ-საქვეყნო საქმისადმი გულ-გრელობის განწყობილებას და რელიკვრ გამაჯგებამ-დე მიიყვანს ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს.

თავისი წერილის დასას-რულს ბატონი ჭაბუა ამირეჯიზი წერს, მამუკაში მომხატრებდა ისტორიულ ძეგლებს და მისწავლიდა „თუ ვინ ვიყავით და რანი ვართ ქართველები და რა გვმართებს წინაპრებისა და სამშობლოსო“.

დაიას, იმ ისტორიული ძეგლების ქვითკირის კედლებზე დაწერილია ქართველი ერის მრავალ-საუკუნოვანი მებრძოლი ისტორია. დაიას, იმ ქვით-კირის კედლების ნანგრევები მიტყველებენ, რომ ოდეს-ღაც უდიდესი სახელმწი-ფოებრიობის მქონე ერო-ვნეულობა და ეროვნულ ღირსებას მტერთან თავდაუ-ზოგავი ბრძოლით ვინაშ-მარტვდით. დღეს კი სა-მარცხვინო არჩეული ვართ იმ ჩვენი დიდი წინაპრები-სა და სამარცხვინო ნაშთი შეგვჩნა იმ ჩვენი დიდი სამშობლო ქვეყნისა. ამიტ-ომ მართლაც გვჭირდება დაფიქრება, რომ ჩვენთვის „თუ რანი ვიყავით და რანი ვართ ქართველები და რა გვმართებს წინაპრებისა და სამშობლოსო“, ვინძლო, დავემსგავსოთ ჩვენს დიდ წინაპრებს და ვინძლო დავიბრუნოთ საქართველო.

ბიბ თვალაპაპი

გაგრძელება მერვე გვერდზე



მართლმადიდებელი მართლმადიდებელი სხვაობებს არ ნიშნავს...


მესამე გვერდიდან

მეგრამ არის ტენდენცია, ეს შეიცვალოს. — აქ საუბარში ჩაგვეერთო ბატონ დავითის ასპირანტი და დოქტორანტი, ამუშავეთ თბილისის ონკოლოგიის ცენტრის განყოფილების გამგე, **ვასილ ტყეშელაშვილი**. ეს ტრადიცია შეიქმნა შეიცვალოს იმიტომ, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით დაბალი ხარისხის პროდუქტი შემოდის, რომელიც არ არის სერთიფიცირებული, არააარო წარმოდგენა არა გვაქვს, რა შემცველობისაა ისინი, რა ზეგავლენას მოახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, როგორ შეცვლიან ისინი დაავადების და სიკვდილიანობის სტრუქტურას, უნდა მოხდეს დროული არჩევან-რეგლამენტირება და მათი შემოწმება, ტესტირება საკვები პროდუქტების, თუ ეს საკითხი არ დაისვა სახელმწიფო დონეზე და არ იქნა მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც რეგლამენტირებას და კონტროლს დაანსებენ საკვებ პროდუქტებზე, სამუშაოდ, შეიქმნება შეიცვალოს ეს

კეთილი ტრადიცია, რომელიც კვების მხრივ გააჩნიათ ქართველებს. — **ბატონო დავით, თქვენ თამბაქოს „ჭირზე“ ყვებოდით...**

— ეს ყველაფერი შეეხება თამბაქოს პროდუქტსაც, იდეალურია, ადამიანმა საერთოდ არ მოწიოს, მონვევის აკრძალვა, მოგხსენებთ არ მოქმედებს, ადამიანის თვითონ უნდა იყოს ინფორმირებული და ინფორმაციის ბაზაზე საკუთარი გადაწყვეტილება მიიღოს. ეჭვიც არ მეპარება, საქართველოში თამბაქოს პროდუქტების ხარისხი ძალზე დაბალია, ვინაიდან, არც რეგლამენტია და არც ტესტირება. რუსეთში კი საქმე სხვაგვარადაა. კანცეროგენების ინსტიტუტის ლაბორატორიაში ვაკეთებთ ანალიზებს და ვუშვებთ სანჰიგიენურ სერთიფიკატს. ამის გარეშე თამბაქოს პროდუქტის გავიდა არ შეიძლება. ალბათ იყიდება, მაგრამ ეს უკვე პოლიციის და სხვა სამსახურების პრობლემაა. — **რა ნაკლი აქვს საქართველოს ჯანდაცვას?** — ძირითადი ნაკლი პროფილაქტიკის პრაქტიკუ-

ლი არარსებობა, არცერთ საერთაშორისო კონგრესზე არ არის ვესტიბული სავესე ამდენი მწველი



ეტიმებით და ონკოლოგებით, ეს სამარცხვინოა... საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების კონგრესი ყოველთვის თავისუფალია წვევს, რადგან კიბოს გამომწვევი ძირითადი პრეველი მიზეზი თამბაქოა. ჩვენ კი გვინდა კიბოს გამომწვევი რთული მიზეზები ვეძებოთ, აქ მკრტოჩინი კი მიმტკიცებს, არაო, მაგრამ ეს ასეა. — **თქვენი მოღვაწეობის მანძილზე, ალბათ, ბევრი მოსწავლე გყავ**

დათ?

— აგერ ჩემს გვერდით ზის ჩემი ასპირანტი და დოქტორანტი, ვასილ ტყეშელაშვილი. ასეთები ბევრნი არიან საქართველოშიც და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით ვამაყობ შოტლანდიელი პიტერ ბოილით, რომელსაც უდიდესი მიღწევები აქვს საერთაშორისო ონკოლოგიის დარგში. — **ბატონო დავით, თქვენ თვლით, რომ პოლიტიკა მეცნიერის საქმე არ არის, შეგნებულად თავი მოარიდეთ კითხვებს, რომელიც პოლიტიკას ეხება, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოში არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური ქართველი, თქვენ არ გამოხატურობდით და პროტესტი არ გამოგვხატოთ. თქვენი ქართველი მოსწავლეები ამაყობენ ამით.** — 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენის გამო ღია წერილი მივწერე (დაიბეჭდა „იზვესტიასში“) მაშინდელ სსრკ

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, ჩაზოვს. წერილს ხელს აწერდა კანცეროგენების ინსტიტუტის 350 თანამშრომელი, რომელშიც ზუსტად იყო მითითებული, რომ თბილისში როდინოვმა გამოიყენა ქიმიური იარაღი, აწარმოა თბილისის მოსახლეობის კანცეროგენული დატვირთვა, გენოციდი. აღვნიშნავდით, რომ 9 აპრილის მშვიდობიანი დემონსტრაციის ნინალომდე ქიმიური იარაღის გამოყენება იყო არა მარტო ქართველების, არამედ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს უგულვებელყოფა. მეორე ჩემი პროტესტი გამოვხატე 1992 წელს, როცა „გაუგებარი არმია“ უტყვედა სოხუმს, „იზვესტიასში“ გამოქვეყნებული წერილით მივმართე რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რომ შეეჩერებინა ეს საშინელება. წერილის მთავარი აზრი იყო ის, რომ რუსეთი თავისი ანტიქართული მიქმედებით ვნებას აყენებს არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც და ეს ბოლოს ასეც მოხდა. აფხაზეთში განწმინდვა ჩვენებმა რუსეთის არმია დაამარცხეს. მე საქართველოს პოლიტიკურ სექტრს

ცუდად ვიცი, საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში არ ვერევი, მაგრამ, როცა საქმე ეხება პოლიტიკურ ტრაგედიებს, უფლება არ მაქვს ჩემი დამოკიდებულება არ გამოვხატო, როგორც მოქალაქე და როგორც ქართველმა, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ქართველობა მართლ საქართველოში ცხოვრებას არ ნიშნავს. — **რომელიაღ საერთაშორისო ფორუმზე ბატონ დავითს მოხსენება ინგლისურ ენაზე გაუკეთებია, როცა დარბაზში დაბრუნებულა, ნიკოლოზ ტრაპუნკოვს მოუბარათვს ბატონო დავით, მეგონა მართო ფრანგული იყო, ინგლისურაც რა კარგად გცოდნათო. ბატონ დავითს უპასუხია: ნუ ლეღათ, ნიკოლოზ ნიკოლოზ ძვე მე რუსულად თქვენზე უკეთესად ვიციო... ბატონი დავითი ისეთი დახვეწილი, თავანკარა ქართულით ლაპარაკობს, რომ თავისუფლად შეუძლია ჩვენც გვითხრას: არ აღელდეთ ბატონებო, მე ქართულიც ბევრ თქვენგანზე უკეთესად ვიციო...** ესაუბრა იზოლდა ცირაძე

პიხასურაბთ ჩვენ ამ ხელისუფლებას და მოგავალის დავიხასურაბთ, თუ ასე ვილუარსაბ-ვიდარაქანათ...

მესამე გვერდიდან

უფლებით, რომელსაც არჩევის, არჩევანის უფლება რომ ჰქვია? რატომ არ ვისარგებლეთ ამ უფლებით 15 ნოემბერს, რატომ არ გამოვუცხადეთ უნდობლობა გაკოტრებულ მოქვამირს და მის პრეზიდენტს, სხვა ზოგიერთ დემაგოგ პარტიასაც? პასუხი აქაც ნათელია — საქმე კვლავ საერთო ნიპილიზმთან, გულგრილობასთან გვაქვს, ანუ იმასთან, რომ დავინყვებულნი ვაქვს ძველი ქართული სიბრძნე: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო... ასე მოგვივიდა მაშინ, როცა ნება მივეცი ერთ მუჭა უტრისტებს ეროვნული ხელისუფლება დაემხოთ, ასე მოგვივიდა, როცა მათვე უტრისტ-მამაძელებს დემონსტრაციული ვახვრეტივით, სამეგრელო მრავალჯერ ვაოხრებინეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეები და შედეგადაც ავანიოკეინით, აფხაზეთი და სამაჩაბლო გაფაყინდით და იაურები საკუთარ სამშობლოში დევნილად ვაქცივინეთ, ასე მოგვივიდა, როცა შეარდნაძე ჩამოვაცხენეთ და ტაშიც დაგვაკრევივინეს, პირველი პრეზიდენტს არჩევიდან რაღაც სამიოდე წელიწადში მას ნდობის

მანდატიც ჩავაბარეთ და ქვეყანა სამართავად დავეთმეთ... ასე მოგვდის ახლაც, როცა ათასი ჯურის ჩინოვნიკ-მაფიოზი თავზე გვაზის და პირში ბურთს გჭრის... ასე მოგვივა მომავალშიც, თუ დროზე არ გავიღვიძებთ და ჩვენი სათქმელი ყველამ ერთად, თითოეულმა ქართველმა არ ვთქვით და სიტყვას საქმეც არ მივაყოლებთ. რატომ მოგვივიდა ეს ყველაფერი? ალბათ, კვლავ და კვლავ საერთო გულგრილობისა და იმის გამოც, რომ ბევრ მოქალაქეში კვლავაც ძლიერია ის სინდრომი, რომელიც ბელადის, მამა-მარჩენალ არტფოს სინდრომი ჰქვია, ანუ იმ ფსიქიკური განწყობის გამოც, ჩემს საკეთებელს ჩემს მაგივრად ვილაც სხვა, მეორე ან მესამე გააკეთებსო. რაც შეეხება ყველაფრის ხელისუფლებაზე გადაბრალებას და ამით საკუთარი თავის დამშვიდებას სიტყვებით: „რა ვქნა, ხელისუფლებაა ასეთიო“, უნდა ითქვას, ეს ვერაფერი საქციელია და ხელისუფლებაც ისეთია, როგორც ჩვენ, ანუ ხალხია. ავი თქვა კიდევ რომელიღაც პოლიტიკოსმა ასეთ რამ: „ხალხს ისეთი ხელისუფლება ყავს, როგორსაც იმსახურებსო“. ვიმსახურებთ, ბატონო, ჩვენ

ამ ხელისუფლებას და მომავალშიც დავიმსახურებთ, თუ კვლავ ასე ვილუარსაბ-ვიდარაქანეთ, თუ კვლავ ყურთბალიშზე ვინქათ და კუჭის კარნახით ვიარეთ. გვიყვარს ხოლმე თქმა და თავად ხელისუფალთაც ჩვევით ბევრი რამის ე. წ. მესამე ძალაზე, მესუთე კოლონაზე და ა. შ. გადაბრალება. მტერი რომ ბევრი გყავს, შიგნითაც და გარეთაც, ეს ფაქტია, გამყიდველიც რომ ბლომად მოგვეპოვება, არც ესაა დასამალი, მაგრამ ყველაფრის თავი და თავი რომ ისევ ჩვენი უნიათობა, დაქსაქსულობა, გათითოკაცება და ქვეყნის ბედისადმი ადგილებული დამოკიდებულება, ეს უნდა ვაღიაროთ ყველამ, თითოეულმა და მაშინ, ეგება, გვეშველოს, მაშინ, ეგება, ვერც გარე და შიგამტერმა, ვერც იუდამ და გამყიდველმა, ვერც დღევანდელმა ხელისუფლებმა გაგვიბედონ ის, რასაც აქამდე გვიბედავდნენ და დღესაც გვიბედავენ, იქნებ მაშინ ავცდეთ რომელიმე ჩვენი თანამედროვე პატრონი მწიფლბა თუ საზოგადო მოღვაწის მიერ ავაკი წერეთელივით თავის დროზე მწარედ ნათქვამ სიტყვებს: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“ **სამარო ჯანაშია**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი
JOURNAL FOR THE HUMANITIES

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი

გ ე ო რ გ ი ა


თბილისი
TBILISI

2'98

გამთვია და ჟურნალ „საქართველოს“ მორიგი, რიგით მეორე ნომერი. ჟურნალში გაშუქებულია ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის, ხელოვნების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის ფრიად აქტუალური საკითხები. ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში მკითხველი გაეცნობა ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის, მეცნიერების, ფილოსოფიური აზრის, ხელოვნების და ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ არაერთ საინტერესო დეტალს, მოსაზრებას, კრიტიკას. ჟურნალის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბ.ნი ბურაბ ყორანაშვილი. ჟურნალი გამოდის კვარტალში ერთხელ და დიდ სამსახურს უწევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

„საყოველთაო მტერი“

ტრილერს „საყოველთაო მტერს“ — საფუძვლად დაედო პაროდია და იუმორი. მკითხველს უნდა შეეახსენოთ, რომ სწორედ ამ სტილის დიდი პროფესიონალი გახლდათ რეჟისორი ალფრედ ჰიჩკოკი. მას უყვარდა ისეთი გმირების გამოყენება სურათში, რომლებიც გაურკვეველ მდგომარეობაში



ვარდებიან, რაღაცის ან ვიღაცის გამო. რასაც ჰქვია სრულყოფილი ტრილერი, ის გაიფურჩქნა მხოლოდ 70-იან წლებში — ეპოქაში, როდესაც თეთრი სახლის კულისებს მიღმა, საქმეებს განაგებდა მასმედია.

80-90-იან წლებში კონსერვატორული პოლიტიკის კორექტურის გამო იუმორისტული ტრილერები ცალკე გამოეყო. მაგალითად, როგორც არის ფილმი „შეთქმულების აჩრდილი“.

პროდიუსერმა — ჯერი ბროუზისმა გადაწყვიტა გადაეღო სუბერ ბოვიეკი. იგი მიჩვეულია („შეჩვეულს ნუ გადააჩვევ და მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ“ — ნათქვამია) წელიწადში ერთი საკასო ფილმი გადაიღოს, რომელიც ხშირ შემთხვევაში პიტად იქცევა ხოლმე. მაგალითად, როგორებიც იყო „სალი კლდე“ (1976), „საპაერო ციხე“ (1977), ხოლო 1998 წელს მან დაიპყრო მთლიანად კინობაზარი და გახდა პოპულარული. მისმა ფილმმა „არმაგედონი-2“ მხოლოდ ამერიკაში 200 მილიონი დოლარი შემოსავალი მოიტანა.

სულ ახლახანს, კინოგაქირავებაში გამოვიდა კიდევ ერთი ახალი მისი სურათი, იუმორისტული ტრილერი „საყოველთაო მტერი“, რომელსაც აგრეთვე დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ კინობაზარზე.

ფილმის რეჟისორია ტონი სკოტი, ხოლო მთავარ როლშია ულ სმიტი. „საყოველთაო მტერს“ გადაღებები დაიწყო 1997 წლის ნოემბერში (გადაღებები აფეთქებად იქცა და უპატრონო სახლებს ბალტიმორში), ხოლო ვაშინგტონში იღებდნენ მშვიდობიან და ნატურალურ კადრებს, ნაწილობრივ კადრები გადაღებულია ნიუ-იორკშიც.



რეჟისორი ტონი სკოტი ხუთი თვე ამონტაჟებდა მასალას, რომლის შინაარსიც მოკლედ ასეთია: — იუროს რობერ დინს (ულ სმიტი) აქვს ყველაფერი: პრესტიჟული და კარგი ხელფასიანი სამსახური, ბედნიერი ოჯახი, მაგრამ ერთი მოულოდნელი შემთხვევა ყველაფერს შეცვლის. ინფორმატორის მიერ გაიგებენ დიდი შეთქმულების შესახებ თეთრი სახლში. მას ჯერ კიდევ გაუგებარ სიტუაციაში მყოფს უცრად დაადანაშაულებენ მკვლელობაში.

კინოპანორამა

ჩვენი გაზეთის საშუალებით მკითხველი წინა ნომერში გაცნო მოკლე ინფორმაციებს ფილმებისა, რომლებიც ნაჩვენებია იყო ტელეეკრანებზე. თქვენი მოთხოვნისამებრ ვაგრძელებთ რუბრიკას და ანონსის სახით გაძლევთ ინფორმაციას გადასაღები მოედნიდან.

ბრალდების აქტებში მშველელად ეკლინება ყოფილი მზვერავი ბრილი (კინ სეკმანი).



ცნობილია ფაქტი, მაყურებელთა გამოკითხვის შედეგად სურათი არათუ ანაზღაურებს დახარჯულ 80 მილიონ დოლარს, არამედ დიდ შემოსავალსაც მოუტანს პროდიუსერს ბრიუსმაიერსა და სტუდია „Disney“-ს.

ერთ-ერთი ფილმის გასინჯვის დროს (პოლიუდის ეკრანზე არ გამოდის ფილმი საყოველთაო გასინჯვის გარეშე) სტუდია დისნეის მმართველმა აიხუნერმა გადაკოცნა ტონი სკოტი და უთხრა: „საყოველთაო მტერი“ ყველაზე საუკეთესო სურათია იმ ფილმებს შორის, რომელიც გადაგიღიათ.

ფილმის პროდიუსერმა ბრიუსმაიერმა ამჯერადაც შესანიშნავი რეკლამა გაუკეთა ფილმს. მან არა თოჯინებზე და რესტორნებში გაუშვა რეკლამა, არამედ გამოვიდა ფიქტური ტელეფონები და პეიჯერები.

ბი ფილმ „საყოველთაო მტერის“ საოცრად მომარკეტო. ამ სურათს უახლოეს ერთ კვირაში ნახავთ თბილისის ტელეეკრანზე.

ტონი სკოტი

უკანასკნელ წლებში რეჟისორს იზიდავს ბნელი ისტორიები. ორი წლის წინ გადაიღო ფილმი „ფანატი“, რომელშიც ასახული იყო ბუისბოლის მოთამაშის ცხოვრება, რომელსაც დასდევდა მანიაკი...

შეიძლება ითქვას, რომ ტონი სკოტის პესიმიზმი საფუძვლიანად გადადის რეალურ ცხოვრებაში.

90-იან წლებში ძმებმა - რიდი და ტონი სკოტებმა პრევილი ადგილი დაიკავეს ყველაზე პოპულარულ რეჟისორთა შორის ბრიტანეთში. ისინი ფლობენ კინოკომპანიას, რომლის სახელწოდებაც „თავისუფალი სკოტები“. ამ სახელწოდებას საფუძვლად დაედო მუდმივი ტიპობა პოლიუდთან. — ძმებმა მაგნატიზმა, როგორც ბრიტანული პრესა აღნიშნავს, 1995 წელს შეისყიდეს კინოსტუდია — პავლიონებით, გასახმოვანებელი აპარატურითა და მთელი მონუმენტებით, რომლის ფასიც დაახლოებით, 12 მილიონ ფუნტ სტერლინგი იყო.


ამ „მელოტ ინგლისელს“ ტონი სკოტს, რომანტიკონდა პლანეტის ულამაზეს ქალბატონთან, ბრიჯიტ ნილსენთან.

რეჟისორი, როდესაც არ არის დაკავებული ფილმების გადაღებით, მისდევს სახიფათო სპორტს (აღსრულებულ ზღვაში შედის) ან მოთხველებს უერთდება.

ტონი სკოტი დაიბადა 1944 წლის 21 ივნისს დარკემის ჩრდილოეთ საგრაფოში, ფერმერის ოჯახში. მან დაამთავრა სამეფო ხელოვნების კოლეჯი.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ძმებმა

გადაიღეს მოცვარულთა კამერით ფილმი „პიტუნა ველოსიპედზე“, რომელიც გაცილებელი იყო სამონტაჟო მაგიდის დარჩენილ სწორედ ამ სურათმა განაპირობა...



სარეკლამო სააგენტოში, რის შემდეგაც აქტიურად ჩაებნენ სარეკლამო ბიზნესში.

რიდლიმ გაცილებით ადრე გადაინაცვლა დიდ ეკრანზე, როდესაც მან გადაიღო ფილმი „დუელში მონაწილე“ (1977): ამ სურათმა კანის ფესტივალზე პრიზი აიღო.

რაც შეეხება ტონი სკოტს, იგი მხოლოდ რვა წლის შემდეგ იღებს ფილმს „მიმ-შილი“, რომელიც საშინლად დამახინჯებული იქნა პროდიუსერების მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ სურათს უამრავი ფილმი მოჰყვა, როგორებიცაა: „პოლიციელი ბევერილი ჰილიდან“ (1987), „ქუხილის დღეები“ (1990). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტონი სკოტის ფილმი „შური“ პროდიუსერმა რიკ სტარკმა ისე დაამახინჯა, რომ თვით რეჟისორმაც ვეღარ იცნო საკუთარი სურათი.

1995 წელს ფილმმა „მენამული შნაიდ“ დიდი აღიარება მოუტანა რეჟისორს და იგი მიიჩნევა ყველაზე პატყვასცემ რეჟისორად პოლიუდში.



ახლა კი გადახედეთ ფილმების ჩამონათვალს, რომელსაც საპარტივალოს პირველი არხი გვთავაზობს ამ კვირაში

- სამზაბათი** — „მაკაილის ფლოტი“ — კოვადია რეჟისორი — ბრაიან სენსერი მთავარ როლებში — ტობ ანროლი, ელან გრაიარი (ფილმი პაროდია ამერიკული ჯარის ერთ-ერთ ნაწილის ცხოვრებიდან).
- ოთხშაბათი** — „სხვა ძალი“ — დეიმიტრი. რეჟისორი დუგლას ჯეკსონი. მთავარ როლებში: ნენსი მეკონი და ჩელსი ფილდი (ფილმი ეძღვნება ახალგაზრდა ქალს, რომელსაც მამაკაცის მკვლელობაში ედება ბრალი).
- ხუთშაბათი** — „კოსმოპოლიტაი“ — ვანტასტიკური კოვადია რეჟისორი: მელ ბრუქსი მთავარ როლებში: მელ ბრუქსი და ჯონ კენი.
- პარასკევი** — „კოზა ნოსტრა“ — ბანტასტიკური კოვადია რეჟისორი: ტერენს იანგი მთავარ როლებში: ჩარლზ ბრონსონი, ლინო ვერტურა (ყველაზე გახმაურებული საქმე ამერიკული მფრის ისტორიაში).
- შაბათი** — „ილუზიონი“ — „მეგობრული ევანგელისტის“ ფილმი. რეჟისორი: ჰენრი კოსტერი. მთავარ როლებში: დინა დურბინი და ჩარლზ ლუტონი.
- კვირა** — „გილგამეტი ბრაიტი“ — მელდრამა. რეჟისორი: ლას პარტელი მთავარ როლებში: ლეონარდო დიკაპრიო, ჯონი დეპო, ჯულიეტა ლუსი (უმამოდ დარჩენილ ოჯახზე).

მოამზადა ნათია კორახაშვილი

იხილავთ გარემონტებული მაღაზია (ვართი 91,3 83, სარდაზი — 250 82) მისაბართხა: ვარკეთილის 3, II მკ-რ. ფასი 8500 დოლარი. საქონტაქტო ტელეფონი 79-63-30 ნოღარი

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზია № 091

გთავაზობთ აუდიტორულ მოსახურებას ზოგად აუდიტში

- საფინანსო-საბუღალტრო საბიზნესის აუდიტორული შემოწმება;
- საქონლულტაციო მოსახურება და რეკონსტრუქციები;
- ქონების შეფასება-გადაფასება;
- გულდატრული მოსახურება;
- ფირმების რეგისტრაცია.

თბილისი, თაბისუფლავის მოღანი, აუზაინის ქ. 5-2 სართ. ტელ: 93-15-89

ყურადღება!

ვიწვევთ პრესის რეალიზატორებად (გაგსაღებლებად) დაუხამებელ მოქალაქებას. პირობების გავება შეგიძლიათ ტელ: 93-20-36 ან მისაბართხა: აუზაინის 5, II სართული. გავათ „საპარტივალოს“ რედაქცია.

გაიარა ხელახალი რეგისტრაცია

საპარტივალოს იუსტიციის სამინისტრომ ხელახალ რეგისტრაციაში გაატარა სრულიად საპარტივალოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდი. ფონდის პრაივილეტია გიორგი თაბაბაძე, რომელიც აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრაივილეტია. ფონდის პრეს-ცენტრი

ახუნეთ ლაგაზად!



ლევან არაბიტაშვილი ნათამე • სახლები • ინტერიერი • გამწვანება 920781ს. 381632ბ.

მთავარი რედაქტორი სერბო ჯანაშია

ტელეფონები: რედაქტორი: 93-20-36, რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისაბართი: თბილისი, თაბისუფლავის მოღანი, აუზაინის ქ. 5 გავითის ინდექსი 66447

გავითის ღირებულება: ელგუჯა ჩხაიძე რედაქცია: ვია თვალაბაქე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალ-ადამილი (კომპიუტერი დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლის და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), გიორგი ლალიაშვილი (რედაქციის განყოფილების გამგე), კორმსაონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩაღუნელი, ქეთი გუგაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველია, იზოლდა ცირდავა.

გავითი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გათქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444